საერთო გაზეთი

№3 (508) • 6 თებერვალი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ელიზბარ ჯაველიძე:

ივანიშვილი ერთადერთი კაცია, ვინც შიგნიდან და გარედან მომდინარე ქვეყნის დამანგრეველ ნიაღვარს აჩერებს

ისეთი რა სიზმარი ნახეს ოსებმა, რომ თრუსოს და გუდოს ხეობას გვედავებიან?!

რა შედეგები მოჰყვება გამოცდების გაუქმებას?

მელორ სტურუა:

ტრამპის საქმე დამთავრებულია!

ნიკოლას მადურო:

ულტიმატუმებს არ მივიღებთ!

ვირთა ვარამი

„მიწისქვეშა დიქტატორები“ თბილისის მეტროპოლიტენში?

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს განცხადება

გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო პერიოდში სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით წარმოებულ პოლიტიკურად მოტივირებულ კამპანიას და განვაცხადოთ შემდეგი:

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ საზოგადოებას შევახსენებთ, რომ სახელმწიფო, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ სამართავად ჩაიბარა, იყო სახელმწიფო, სადაც ადამიანი სამართალს ვერ იპოვიდა. ყველას გვახსოვს, რომ ტოტალიტარულმა სახელმწიფო მანქანამ სასამართლო ხელისუფლება, უკლებლივ ყველა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტის მსგავსად, საკუთარი რეპრესიული პოლიტიკის სამსახურში ჩააყენა და საზოგადოების დათრგუნვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად აქცია.

ამ ფონზე, ჩვენ, ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციის განაცხადით ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ, ამომრჩეველთა განწყობების მიუხედავად და, გარკვეულწილად, ამ განწყობების საწინააღმდეგოდაც კი, უარი ვთქვით სასამართლო სისტემის გარდაქმნის არაკონსტიტუციურ მეთოდზე. ჩვენ უარი ვთქვით სისტემის რევოლუციური წშენდის მანკიერ პრაქტიკაზე და მისი გაჯანსაღების რთული, თუმცა, ერთადერთი კანონიერი გზა ავირჩიეთ – პოლიტიკური წნეხის მოხსნით, სასამართლო ხელისუფლებას მივეცით თვითგამორკვევის საშუალება, რათა პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი ინსტიტუტი კანონის სამსახურში ჩამდგარიყო და, იმავდროულად, მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის გზით, სისტემის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის მიგვეღწია.

დეტალურად არ შევჩერდებით იმ კომპლექსური რეფორმების ჩამონათვალზე, რაც ამ წლების განმავლობაში სასამართლო სისტემაში განხორციელდა და იმ აზრისგანაც შორს ვართ, რომ ყველაფერი იდეალურად არის. თუმცა, იმის საილუსტრაციოდ, თუ რას მივაღწიეთ ამ რეფორმების შედეგად, რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს წარმოგიდგენთ, რათა ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას, სად ვიყავით გზის დასაწყისში და სად ვართ ახლა:

- ექვსჯერ გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა;
- სამჯერ შემცირდა წინასწარი პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;
- განახევრდა საგამოძიებო მოქმედებებზე შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი;
- 18-ჯერ (91 მილიონიდან 5 მილიონ ლარამდე) შემცირდა გიროს შეფარდების მაჩვენებელი;

მამუკა ბახტაძე – 2013 წლამდე დღგ იყო იმ ტიპის გადასახადი, რომელსაც მეწარმისთვის მხოლოდ თავის ტკივილი მოჰქონდა

დღგ-ს დაბრუნების რეფორმა იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ძალიან პრინციპული ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ გადადგა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ “ფეისბუქლაივში” განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს კერძო სექტორი ყოველთვის უმთავრესი პრობლემების სამეულში ასახელებდა.

“ჩვენ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა გვერგო. დღგ არის გადასახადი, რომლის ზედმეტობა ბიუჯეტმა აუცილებლად უნდა დააბრუნოს, ეს მეწარმის ფულია. 2013 წლამდე, თუ მეწარმე აგროვებდა ზედმეტობას, მისი დაბრუნების მოთხოვნისას 2 სცენარი ჰქონდა. კარგ შემთხვევაში მასთან შემოსავლების სამსახური შევიდოდა შემოწმებაზე და, როგორც წესი, ეს მეწარმისთვის ძალიან მძიმედ მთავრდებოდა; ან შევიდოდა ფინანსური პოლიცია და მეწარმე კიდევ უფრო მძიმე შედეგებს მიიღებდა. ეს ჩვენმა ბიზნესსაზოგადოებამ ძალიან კარგად იცის. შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ სიტუაცია – მიუხედავად იმისა, რომ დღგ არის 18%, ეს იქცა ძალიან მძიმე ტვირთად ქართველი მეწარმეებისთვის. დღგ-ს გადასახადი სამართლიანი თამაშის წესების დამკვიდრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. თუ ჩვენ ავიღებთ კონკურენციას იმპორტიორსა და ადგილობრივ მწარმოებელს შორის, იმპორტიუორს ეს არ აწუხებდა, ადგილობრივ მეწარმეს კი დღგ-ს დაუბრუნებლად ექნებოდა ნაკლები თანხა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, შესაბამისად მისი ხარჯები გაიზდებოდა და მისი ბიზნესმოდელი ხდებოდა ნაკლებად კონკურენტუნარიანი, რამაც ძალიან ბევრ სექტორში ჩვენ მძიმე შედეგები მოგვიტანა”, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარება მიზნად ფინანსთა მინისტრობისას დაისახა.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, გასულ წელს მეწარმეებს დაუბრუნდათ 527 მილიონი ლარი, რაც ისტორიული მაქსიმუმია და ძალიან დიდი წარმატება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესმა აბსოლუტურად კონსტრუქციული სახე მიიღო და გაჩნდა შესაძლებლობა, პოლიტიკური, სამოქალაქო და საზოგადოებრივი ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობით შედეგზე ორიენტირებული სამართლებრივი დისკუსია მიგვეღო, სასამართლო ხელისუფლებაზე გაგრძელდა პოლიტიკური შეტევა და მედიაშტურმი, რომლის ავანგარდში ნაციონალური მოძრაობა, მისი სატელიტი პოლიტიკური პარტიები და მასთანვე წლების განმავლობაში შეზრდილი და აფილირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების მოქმედი თუ ყოფილი ლიდერები ჩადგნენ.

ამ ფონზე, მმართველი პოლიტიკური ძალა ვერ დადგება პროცესებს მიღმა და არ დაუშვებს, ჩვენი – საზოგადოებისა და ხელისუფლების – ერთობლივი მონაპოვარის – თვისებრივად გაუმჯობესებული სასამართლო ხელისუფლების უსამართლო, უკანონო და აბსოლუტურად მიუღებელ დისკრედიტაციას.

მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას და საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის მიზანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, არ ჩაერთონ არაჯანსაღ პოლიტიკურ დაპირისპირებაში და ხელი შეუწყონ შედეგზე ორიენტირებული დისკუსიის წარმოებას სასამართლო სისტემის შემდგომი გაჯანსაღების თაობაზე.

თბილისის მერი სარეკონსტრუქციო სამუშაოებს გაეცნო

დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად, სარაჯიშვილის გამზირზე, მდინარე გლდანულაზე არსებული ხიდების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს გაეცნო.

სამუშაოებს თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ახორციელებს. ამ ეტაპზე, 18 და 31-მეტრიანი კოჭების მონტაჟი მიმდინარეობს, რომელიც ჯამში 42 ერთეულია.

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, მდინარე გლდანულაზე არსებული ხიდები ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და რეაბილიტაციას საჭიროებდა.

„ავჭალაში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, მდინარე გლდანულაზე გადასასვლელი ხიდების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების ფარგლებში, ფაქტობრივად, ახალი ხიდების მშენებლობის პროექტი ხორციელდება, რადგან არსებული ხიდები ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. სამუშაოები შარშან დაიწყო და მაისისთვის დასრულდება. პროექტი საკმაოდ მასშტაბურია და მისი ღირებულება დაახლოებით, რვა მილიონ ლარს შეადგენს. ტერიტორიის ორივე მხარე ყოველმხრივ მოწესრიგდება და ავტომობილით გადაადგილება თავისუფლად იქნება შესაძლებელი“, – განაცხადა კახა კალაძემ.

სამუშაოების ფარგლებში, მდინარე გლდანულაზე არსებულ ავარიულ ხიდებს – როგორც მალის ნაშენს, ასევე, ბურჯებს სრული დემონტაჟი ჩაუტარდება. არსებული კონსტრუქციის ნაცვლად, რომელიც სამ პარალელურ ხიდს წარმოადგენდა, ახალი ხიდების მშენებლობა მიმდინარეობს.

სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „კონსტრაქშენ სერვისი“ აწარმოებს და ის მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასრულდება. აღნიშნულ პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 8 057 871 ლარი დაიხარჯება.

სარეკონსტრუქციო სამუშაოებს კახა კალაძესთან ერთად, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გალაქტიონ ბუაძე, გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში შალვა ოგბაიძე გაეცნენ.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განცხადება

მეტროსადგურ „წერეთელზე“ მგზავრთა მიღება განახლდა. შეგახსენებთ, რომ ესკალატორების ტექნიკური ხარვეზის გამო სადგური დროებით ვერ ემსახურებოდა მგზავრებს.

სატრანსპორტო კომპანიის შესაბამისმა სამსახურებმა დროულად შეძლეს ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და თბილისის მეტროს ორივე ხაზი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ელიზბარ ჯაველიძე:

ივანიშვილი ერთადერთი კაცია, ვინც შიგნიდან თუ გარედან მომდინარე ქვეყნის დამანგრეველ ნიაღვარს აჩერებს

უნიჭიერესი კაცი დაიჭირეს. მოსამართლემ, რომელიც იძულებული იყო, მისთვის სასჯელი მიესაჯა, განჩინების კითხვისას ტირილი დაიწყო

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, ქვეყანაში განგაშია ატეხილი — „ნაცმოძრაობა“, „რუსთავი-2“ და სხვანი სახელმწიფოს „გადარჩენის“ გეგმებს სახავენ. რას ფიქრობთ, ამ ყველაფერზე?

— „რუსთავი2“-ს და მის სატელიტ „ტვ1“-ს აღარ ვუყურებ, მათი ნერვები აღარ მაქვს. სწორედ მათი პროფესია და ხელწერაა შექმნან შავბნელი, ტრაგიკული სურათი და თითქოს ქართველი ერის, სახელმწიფოს გარდაუვალი უბედურება წარმოაჩინონ მაშინ, როდესაც არც ერთ მათგანს — არც ტელევიზიებს, არც არასამთავრობოებს ქვეყნის ბედი არ აღელვებთ. ყოველთვის ვამბობ, ენ-ჯი-ოები ამაში დაფინანსებას იღებენ და არაფერი აინტერესებთ გარდა იმისა, რომ თავიანთი პატრონების სურვილები აასრულონ და ქართულ ცნობიერებას, ეროვნებას, სახელმწიფოს ჩრდილი მიაყენონ. ეს ყველაფერი დიდი ხანია ასეა, საჭიროებისას დროდადრო აქტიურდებიან ისე, როგორც ზოგჯერ მზე აქტიურდება და ადამიანს ზიანს აყენებს.

მთელი უბედურება ისაა, რომ პირადად მეც, საქართველოს ჯანსაღი საზოგადოება ითხოვს, რომ „ნაცები“, რომლებიც ძალიან კეკლუცობენ და თავი მოაქვთ, პოლიტიკიდან განიდევნონ, მაგრამ ყურს არავინ გვიგდებს.

რას წარმოადგენენ ისინი? რომელი ერთი ჩამოვთვალო, ავიღოთ, თინათინ ბოკუჩავა, რომელიც ზნეობრივ სისპეტაკეზე გვესაუბრება. ჩვენს დამოძღვრას ურჩევნია, ჯერ ის ოქროს სამაჯური დააბრუნოს სააკაშვილმა ჩვენი ფულით რომ უყიდა, მისი ცხოვრების გზასაც გადახედოს და მერე, ილაქლაქოს. გარეგნულად, თითქოს, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ როგორც კი ხმას ამოიღებს, პირიდან შავი სული და ბოროტება ამოსდის. არანაკლებ აქტიურობს ბოლო დროს ოთო კახიძე. ჩანს, რომ შინაგანი განცდები აქვს, ენატრება თავისი გულისსწორი ადეიშვილი, რომლებიც ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებდნენ. ახლა ეს კაციც ზნეობას გვასწავლის, რაც ამაზრზენია. იგივე, ბოკერია, მოჭუტავს თვალებს და ვითომ სიბრძნეს აფრქვევს, ამ დროს სისულელეებს ბოდავს. ეს ხალხი საქართველოს, ქართული სახელმწიფოს გამოკვეთილი მტრები არიან. ამიტომ, კატეგორიულად ვაცხადებ: მათთან ენის ჩლექვით საუბარი არ შეიძლება, გავიგოთ, რომ მათი გარდაქმნა შეუძლებელია. როგორც მორიელს ხასიათს ვერ შეუცვლი, ესენიც ასე არიან — რაც არ უნდა ვეფეროთ, ვიძახოთ, რომ ერთად უნდა ვიყოთ, ყველანი ქართველები ვართო, აზრი არ აქვს, რადგან მათ ქართული ეროვნების, ცნობიერების, სულიერების მტრობა სისხლში აქვთ გამჯდარი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში არის გადაზრდილი. სანამ ისინი პოლიტიკური სივრციდან არ მოიკვეთებიან, არაფერი გვეშველება. სამწუხაროდ, დღეს მავანი მათ პოლიტიკაში ყოფნას დემოკრატიას ეძახის. თურმე, დემოკრატია ყოფილა, რომ მტერმაც თქვას თავისი აზრი და მოყვარემაც. ეს არ გახლავთ დემოკრატია. მტერი რომ სისინებს, ეს მიზანმიმართულად ხდება, მას ჩაფიქრებული აქვს ქვეყანას ზიანი მოუტანოს. ვაშაძე დინჯად საუბრობს, რომელიც თავისი ცოლის კაბასა თუ საცვალს არის ამოფარებული, მაგრამ მისმა მშვიდმა საუბარმა არ უნდა შეგვაცდინოს. რას წარმოადგენდა იგი, როდის რა გაუკეთებია ქვეყნისთვის?! ამათი მოსმენა უკვე შეუძლებელია. ესენი არ დაწყნარდებიან. პრობლემა მხოლოდ „ნაცები“ არ არიან, არამედ მათი მსგავსნიც.

თავის დროზე, ბატონმა ბიძინამ, როცა „რესპუბლიკელები“ დაიახლოვა და მათი იმედი ჰქონდა, მივმართე მას: არსებობს ერთი სუფიზმის მიმდევარი, შუა საუკუნეების თურქი პოეტი აშიკ ფაშა, რომელიც წერდა: გზაზე რომ მიდიხარ და გაყინულ გველს ნახავ, შეგეცოდება და აიყვან, გულში არ უნდა ჩაისვა, თორემ გათბება თუ არა მაშინვე გიკბენს. „რესპუბლიკელები“ დღესაც იკბინებიან, მათი გადაქმნა არ შეიძლება. ივანიშვილისადმი ხალხის პატივისცემა რომ არა, ისინი განა ოდესმე მოხვდებოდნენ პარლამენტში?! „რესპუბლიკელები“ ხომ ხალხს ეჯავრება. ისინი გაცხოველებული არიან, ცხოველური სიძულვილი აქვთ. მიშა სააკაშვილი ავიღოთ, გამოდის ყოველდღე „რუსთავი-2“-ის ეთერში და ყბედობს ათასგვარ სისულელეს, ხან გადატრიალებას გეგმავს პირდაპირ ეთერში და ხან — რა აპირებს. როდემდე ვუსმინოთ ამათ სისულელეებს?

არსებობს ზვიად გამსახურდიასდროინდელი ხელისუფლების მაგალითი, რომელიც შემდეგი გახლავთ: პარლამენტში კომუნისტები შემოვიდნენ, დაახლოებით, 60–65 კაცი, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ. მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი იმ დროში, თურმე, შეუსაბამოდ აზროვნებდნენ და მსჯელობდნენ, განდევნეს. კომუნისტები წესიერი ხალხი იყო, „ნაციონალები“ სისხლისმსმელი ფაშისტები არიან. პირდაპირ ასე დაწერეთ, სიტყვა-სიტყვით!. ის რაც მათ გაკეთებული აქვთ, რაც ჩვენი თვალით ვიხილეთ არც ერთ ფაშისტს, არც ერთ ჰიტლერის უერთგულეს გესტაპოს არ ჩაუდენია. ფაშისტები გაზით გუდავდნენ ხალხს, „ნაციონალები“ კი ადამიანს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ დედის, მცირეწლოვანი შვილის, მეუღლის წინაშე. ჩვენ ამაზე ვდუმვართ. ხელისუფლებას ეშინია — „ნაცებს“ ზედმეტი რომ ვაკადროთ ევროპამ არ გვისაყვედუროს და ჩვენი დემოკრატიულობა არ დაიწუნოსო. ვანახოთ ევროპას ის კადრები, რასაც ეს „ანგელოზები“ სჩადიოდნენ და თუ იმის მნახველი ადამიანები მათ ისევ დაუჭერენ მხარს, ვიტყვი, რომ ისინი არიან ცხოველებზე უარესნი, თავად ფაშისტები და ნაცისტები. ეს არის მთელი უბედურება, რაც გარკვეულწილად, ჩვენი ბრალიც არის.

თუ არ ვცდები, თქვენმა რედაქტორმა ვახტანგ ხარჩილავამ ასეთი რამ განაცხადა: ჩვენ თუ მიშას დროშას ვეთაყვანებით, მაშინ რას ვერჩით თავად მიშასო?! ვიღაცები გამოდიან და სიბრიყვით, უცოდინარობით ამტკიცებენ, რომ ეს არის ეროვნული, დავითის დროშა და ა.შ. არსად, არც ერთი ისტორიული წყარო ამაზე არ მიგვითითებს. სამწუხაროდ, დღეს სოროსი ბატონობს ჩვენს ქვეყანაზე. რაც ყველაზე მთავარი და საგანგაშოა — სასწავლო დაწესებულებები, იგივე, „ილიაუნი“ სოროსისტების კერაა. „ღია საზოგადოება — სოროსს“ საქართველოში ღრმად აქვს ფესვები გადგმული. მისი იდეით დაიწყო, ლომაიას თაოსნობით, ჩვენთან განათლების სისტემის მოსპობა. გაჭირვებულ ხალხს როცა შიოდა, სოროსმა 500–500 დოლარი დაურიგა. შედეგად, თავიდან ბოლომდე ეროვნული კაცი, რომლის სახელსაც არ დავასახელებ, უცებ, სოროსის მიმდევარი გახდა. ეს დღესაც გრძელდება, გნებავთ, სამეცნიერო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში და ა.შ. ისინი არა მარტო ნაცისტები, არამედ სოროსის იდეის მქადაგებლები არიან.

— ბატონო ელიზბარ, ბიძინა ივანიშვილმა პირველი ტურის შემდეგ გაჟღერებული დაპირებების შესრულება დაიწყო. ეს ეხება საბანკო სისტემასაც...

4 გვ. →

3 გვ.

— დიახ, ერთი აურზაური ატეხეს ხაზარაძეს ჩაგრავენო. იცით, ვინ არის ეს ხაზარაზე? — სწორედ მან განავითარა ქართული ლიტერატურა დალესის პროგრამის მიხედვით. ყველა უზნეო მწერალი, თუკი მათ მწერლები ჰქვია, რომელთაც საკუთარი დედა ეროტიკულ ვნებებს აღუძრავთ, „საბას“ პრემიით დააჯილდოვა. მერე დიდი ზარზეიმით ჩავიდნენ ფრანკფურტში და წიგნის ბაზრობა გამართეს. რა ჩაიტანეს ფრანკფურტში? დედათმავლები და მამათმავლები, ბოდიში მომითხოვია და, პედერასტ, ქართული ჩოხით რომ გამოდის და რაღაცას ტლიკინებს, ეს არის ქართული კულტურა?! ეს არის ქართული ლიტერატურა?! რამდენი მშვენიერი მწერალი გვყავს. ამასაც რომ თავი

ივანიშვილი ერთადერთი კაცია, ვინც შიგნიდან თუ გარედან მომდინარე ქვეყნის დამანგრეველ ნიაღვარს აჩერებს

დავანებოთ, ვაჟა-ფშაველას, შოთა რუსთაველის, ილიას, აკაკის ქვეყანა ვართ, წაიღეს რამე მათი შემოქმედებიდან? რაღაც სისულელეები წაიღეს. ამაშიც ფულს აკეთებენ, ვითომ, თანამედროვე მოდერნისტული მწერლობა შექმნეს. ეს ყველაფერი სწორედ ამ მამუკა ხაზარაძის დანაშაულია. პრემიერ- მინისტრმა, სხვათა შორის, თქვა: ჩვენ, საბანკო სისტემის წინააღმდეგ არ ვიბრძვით. დამნაშავე ვინც არ უნდა იყოს, იქნება ეს ბანკის მმართველი, მინისტრი თუ სხვა, ყველა უნდა დაისაჯოსო. სწორედ ეს არის ქართველი ხალხის მოთხოვნა — აღდგეს სამართლიანობა და დაისაჯოს დამნაშავე.

— მაშინ აქვე გკითხავთ, მოსამართლეების თემაზე რა მოსაზრება გაქვთ?

— მოგახსენებთ. სამართლიანობას ვერ აღადგენს ვერც მურუსიძე და ვერც ჩინჩალაძე, რომლებიც გამორჩეული იყვნენ სააკაშვილის დროს, როგორც მონები, მიშას ნება-სურვილს აღმსრულებლები. ახლა, ისინი გარდაიქმნებიან? მათ ადამიანების ბედი არ აღელვებთ. მურუსიძე რომ ამბობს: მე კანონს არ ვარღვევო. მოსამართლეობა კანონის დარღვევა-არდარღვევით არ შემოიფარგლება. ასე მეც დავჯდები და კანონს ერთ თვეში ვისწავლი. მთავარია, სამართლიანად განსაჯო, სიმართლეს ემსახურო და არა სისტემას, ვიღაცის მონობას. მათ ამ მონობით ბევრი ბოროტება ჩაიდინეს.

ახლა შეიკრიბა 200-მდე კაცი

კაცი დაიჭირეს და ისე გაასამართლეს, გამომძიებელს არც ერთი კითხვა არ დაუსვამს. მოსამართლემ, რომელიც იძულებული იყო, მისთვის სასჯელი მიესაჯა, განჩინების კითხვისას ტირილი დაიწყო. აი, ასეთი სასამართლო სისტემა დაგვიტოვა სააკაშვილმა. ესენი არიან მოსამართლეები? — ყველანი უნდა მოხვეტო და სადღაც სოროში შეყარო. ესაა მთელი უბედურება.

— დღეს ბიძინა ივანიშვილზე გამალებული შეტევა მიდის. თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავედს ეს, რით აიხსნება ყოველივე?

— იცით, რატომ უტევენ ბიძინა ივანიშვილს? ჩემი ღრმა რწმენით, და გამოგვიცხადეს: ჩვენ მოსამართლეები ვართო. ვის ჰქვია მოსამართლე — იურიდიული ფაკულტეტი რომ დაამთავრა და დიპლომი აიღო? მოსამართლემ, პირველ რიგში, მტყუანი მართლისგან უნდა გაარჩიოს. ადრე მერაბ ახობაძემ შექმნა არაჩვეულებრივი სისტემა, რომელიც მოსამართლეებს მართლაც დამოუკიდებლობას ანიჭებდა. სააკაშვილი აღფრთოვანებული იყო. მერე, ეტყობა, მიშას უთხრეს, რომ ეს სისტემა ძალაუფლებას უზღუდავდა და ახობაძის დაჭერის ბრძანება გასცა. ეს უნიჭიერესი ამ კაცის სიკეთის დანახვა არ უნდათ. ერთი ამბავი ატეხეს: ბიძინა ივანიშვილი „კანფეტის ხით“ დაინტერესდაო. მან შექმნა ხელთუქმნელი ბაღი, რომელიც საქართველოში რჩება, ხომ არსად მიაქვს. ბატონი ბიძინა სიკეთის მქმნელი ადამიანია. რაც მას სიკეთე აქვს გაკეთებული, მსგავს ვერც ერთ ქველმოქმედს ვერ დამისახელებთ. უშეცდომო ქრისტე იყო. მას მერე, რაც ღმერთად აღიარეს, თორემ როცა ჩვეულებრივი ადამიანი იყო, შეცდომა მასაც მოსდიოდა.

მთელი უბედურება ისაა, ივანიშვილს იმიტომ უტევენ, რომ იგი ერთადერთი ძალაა, რომელიც „ნაცების“ წაბილწულ, თქეშ ნიაღვარს აჩერებს. „ნაცებს“ სურთ როგორმე აიძულონ ივანიშვილი, წავიდეს და მერე სააკაშვილი ფრთებს გაშლის. სააკაშვილისნაირი არიან „ნაცები“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და ა.შ. ესენი ყველანი ერთი ხის ნაფოტები არიან. ეს არის ბოროტების, სიძულვილის, მყრალი ხე. იგი არა მარტო ჩვენს ქვეყანას, მთელ მსოფლიოს აყროლებს, მისი ნაფოტების გადარჩენა არ შეიძლება. ეს მოწყვეტილი ნაფოტები უნდა დაიმარხოს. ეს ჩემი პირადი აზრია.

— ბატონო ელიზბარ, დასაწყისში ახსენეთ, სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავსო. მსგავსი რამ არაერთხელ უთქვამს გვარამიასთან პირდაპირ ეთერში. ეს ხომ კანონით დასჯადია, რატომ არავინ აყენებს მისი პასუხისმგებლობის საკითხს?

— გვარამია, რომელიც ავადმყოფია, ქალივით რომ იპრანჭება, ისედაც ვიცით, რას წარმოადგენს, ვინ არის. სააკაშვილი ვითომ სექსუალური მგელია, ამ დროს თავისი საქციელით სიცვედანეში გადადის, ესეც ყველამ ვიცით. მე სექსუალურ პორტრეტებს კი არ ვხატავ — ესენი დასაჭურისებული ხალხია, რომელთაც სხვა რამ არ აინტერესებთ. რატომ არიან ასე გათამამებული? რატომ სააკაშვილის დროს ვერ ბედავდა ვერავინ ხმის ამოღებას? ახლა თავისუფლება მისცეს, ცხოველი გალიიდან რომ გამოვა, გავარდება და გადათელავს ყველაფერს. თავისუფლება მიანიჭეს თუ არა, გაცხოველდნენ, სიძულვილის ენით ამეტყველდნენ. უფრო სწორად, ეს სიძულვილის კი არა, ეს არის გახრწნის, ამორალურობის, უზნეობის ენა. მათ შესაბამისმა უწყებამ პასუხი უნდა მოსთხოვოს. მათთან კუდის ქიცინი არ შეიძლება იმიტომ, რომ ისინი ყველაფერზე ხელის მომწერნი არიან.

თელავში რაც ჩაიდინეს, არც ამაზე უგიათ პასუხი, პირიქით, აქეთ გამტყუნებენ. იცით ეს რატომ ხდება? — დასაჭერებს არ ვიჭერთ. დღესაც, რუსთაველზე დგას კარავი და დროშებია გამოფენილი. რატომ დგანან?! შვილის სიყვარულს ვერავის ვასწავლი და ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ ტკივილისგან, ვუსამძიმრებ მათ, მაგრამ შვილის სიკვდილით რომ პოლიტიკურ დივიდენდებს იძენ, ეს რას ნიშნავს. ეს არის შვილის სიყვარული? თუ იცი, ვინ არის მკვლელი, წადი, მოკალი იგი და აღასრულე სამართალი სხვანაირად თუ ვერ პოულობ. მასკარადების, ცირკის მოწყობა რა საჭიროა. მაჩალიკაშვილს ქისტები გვერდში არ დაუდგნენ. რატომ? — იმიტომ, რომ მათ ინფორმაცია აქვთ და სინამდვილე იციან. ახლახან 100-ათასკაციანი

შეკრება რომ იყო რუსთაველზე, მაჩალიკაშვილი ქართველ ხალხს უყვიროდა: თქვე, თახსირებო და უზნეოებოო. გაიძახოდა: თქვენ თუ წესიერები ხართ, აქ უნდა იდგეთ, ჩემი შვილის გამოო. ეს უკვე გათავხედებაა. შვილმოკლული მამა ან დედა, თუ დანაშაულს ჩაიდენს, უნდა დაიჭირო. სამწუხაროდ, ნახევარი საქართველო ტვინარეულია. ამიტომ, საჭიროა, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და თავისი ადგილი მივუჩინოთ. ეს უნდა მოხდეს დროზე, გაზაფხულს და შემოდგომას ნუ ველოდებით, თორემ, მერე გვიან იქნება. შემოდგომით ფოთლები ცვივა.

აქვე, თუ შეიძლება, ერთ საკითხსაც შევეხები.

— ბრძანეთ.

— ზემოთ განათლების სისტემა ვახსენე, რაც სააკაშვილმა მთლიანად მოსპო და გაანადგურა. ამჯერად იმედი ჩამესახა. ძალიან მომეწონა განათლების მინისტრის მიდგომა, რომელმაც პირდაპირ თქვა ის, რაც დიდი ხანია გულში მიტრიალებს: ეს სისტემა, რომელიც განათლებაშია გაბატონებული, არის მომაკვდინებელი და მოვსპობო. მან უარყო უნარ-ჩვევები, რომელიც არაფერს იძლევა. ეს უნარ-ჩვევები შეიძლება ცირკის ცხოველებს გამოუმუშავო — რომ ეტყვი დაჯექიო, ისიც დაჯდება. არავითარ აზროვნებას ხელს არ უწყობს, მით უმეტეს, განათლებისგან ძალიან შორს არის. გარდა ამისა, ამჟამინდელმა მინისტრმა დააყენა საკითხი, რომ მასწავლებელი სისტემას კი არა, არამედ სკოლას უნდა ემსახურებოდეს. ადრე ქართველი ბავშვები განათლებით გამოირჩეოდნენ. დღეს რა ხდება? რა უბედურებაში ვართ? გამოცდები რომ მოხსნეს, სწორია. ამ უნარ-ჩვევების გამო ბავშვი იძულებული იყო, მომზადებულიყო და ამით ფულს აკეთებდნენ. რაც მთავარია, მინისტრმა თქვა: გამოცდა, ძირითადად, სამ საგანში უნდა ჩატარდეს: ერთი უნდა იყოს ქართული ენა, რადგან ყველა ქართველი კაცი განათლებას ქართულ ენაზე უნდა იღებდესო. რაშიც სავსებით ვეთანხმები; მეორე საგანი უნდა იყოს უცხო ენა, მესამე კი ვინც ტექნიკურზე აბარებს — მათემატიკა, ხოლო ჰუმანიტარულზე — საქართველოს ისტორია. აი, ეს არის განათლების სისტემაში ქართული ცნობიერების ამაღლება. ქართული განათლება ასე თუ არ განვითარდა, ისე არაფერი ეშველება. კიდევ ერთი, რაც ჩემთვის სასიამოვნო იყო: განათლების განვითარება არ შეიძლება მეცნიერების გარეშე. ვფიქრობ, ქართული აკადემია მას გვერდით უნდა დაუდგეს. ეს ადამიანი ახალ სისტემას ქმნის, რომელიც ქართულ საფუძველზეა დაყრდნობილი და ჩვენი გვერდში დგომით, ეს იდეა უნდა გავაძლიეროთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

პოლიტიკური ნოველა

ვირთა ვარამი

ისინი ბევრნი იყვნენ, თითქმის უთვალავნი, თითქმის მთელი "თფილისი" იჯდა მრგვალ მაგიდასთან და ბაასობდა. პაპიროსის კვამლი უკვე ჭერში ასულიყო და ატმოსფერულ წნევას ზემოდან დასწოლოდა. აი, ისე, სიღნაღიდან ალაზნის ველზე ჩაწოლილი ნისლი რომ მოსჩანს ხოლმე.

ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ-მეთქი – ნიკუშა, მაკუშა, ნარკუშა, ნოდარა, ჯულიეტოვიჩი და კიდე ისა, სამოცდაათს რო გადაალაჯა და მაინც თინეიჯერ გოგოსავით ხუნტრუცობს.

ჰო, კაცო, სიცილის დროს მჟავე კომბოსტოსავით რო უხდება ხოლმე სახე.

მარინა, ჰო, მარინა ბერიძე.

ნიკა გვარამიამ ნაფაზი დაარტყა, ნოდარა მელაძეს ფაქიზ სიფათში შეაფუილა და ენის მოჩლექვით წაუსისინა:

– პატივცემულო ფილდ-კომანდერ, ამ შაბათს რა გვაქვს, რით ვუშლით ნერვებს ბიძინა ივანიშვილს?

– რა გვაქვს დაა, ხეების გლეჯვის ახალი ციკლი დავიწყეთ. უფრო სწორად, ბიძინამ დაიწყო, გადათხარა და გაანადგურა გურიის ფლორა და ფაუნა, ტყეში ირემი აღარ დატოვა, ცაში არწივი და მიწაში ხე-ტყე. კიდევ ისაა, თბილისის ქუჩებში შეტაკებებია, კრიმინალები აღარ ინდობენ ერთმანეთს, მიდის გარჩევები, სისხლი უკვე ცას შესჩუხჩუხებს და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. ამ კვირაში, დაახლოებით, ასი ათასი ადამიანი გაიქცა საქართველოდან და ამდენივემ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, ამდენი კიდე იმ კვირაში აპირებს თავის მოკვლას. ვაკესა და ორთაჭალაში შიმშილით დახოცილი ხალხი ორღობეებში ყრია, ამ დროს კალაძე იძახის, გამოქანდითო. ნაძალადევსა და დიდუბეში მიდის მასობრივი გაუპატიურებები. გლდანსა და მუხიანში მასობრივად აყაჩაღებენ პატიოსან მოსახლეობას, სახლებში უვარდებიან, ჯერ ტ…ნამენ, მერე კლავენ. ო, ღმერთო, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?! – ამოიგმინა ნოდარ მელაძემ.

– ეგ კარგია, ნოდარ, მაგრამ იცოდე, ყველა სიუჟეტს დაპარელება უნდა გაუკეთო ბიძინა ივანიშვილთან, ამას წინებზე ჯულიეტოვიჩმა თითი რომ დაიწვა, ეგეც კი ივანიშვილს უნდა დავაბრალოთ! – გამოცოცხლდა გვარამია და თვალები მეგი გოცირიძის სტილში დააჭყიტა.

– აბა, რა, უმფროსო, აბა, რა? – ლამის "ჩესტი" აუღო მელაძემ.

– ბიჭებო, ძააან მაგრები ხართ, ბიძინა ივანიშვილი თავისი პარტიის წევრებს რომ ჭამს დანა-ჩანგლით, მაგაზე როდის ამზადებთ სიუჟეტს? – დაიჭყანა მარინა ბერიძე.

– მალე, ქალბატონო მარინა, მალე. ჯერ უნდა გამოვაცხადო, რომ მე ეკა ბესელია ვარ, მერე კი საზოგადოებას ვაჩვენებ, როგორ ჭამს ბიძინა ეკას!

– კი, მაგრამ საზოგადოებას ეგ როგორ უნდა აჩვენო? – ჩაეკითხა ბერიძე.

– ჰმ… კარგი, რა, რა უნდა მაგას? მოიყვანე ერთი-ორი დამთხვეული და ალაპარაკე, თუ როგორ გამოიტანა მავანმა, ანუ სანდო წყარომ ივანიშვილის სახლიდან ამბავი, როგორ დაკლა ბიძინამ ეკა, როგორ გაფუფქა ადუღებული წყლით, როგორ მოხარშა და მერე როგორ შეჭამა. აქ შესაძლებელია მეორე ვერსიის გათამაშებაც – ბიძინას უნდოდა ეკას შეჭმა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოახერხა და სოლოლაკის სასახლიდან თავი დაიხსნა, ჩვენი ჟურნალისტი მიეხმარა.

– ძალიან საინტერესო ვერსიებია, უმფროსო, შენ სხვა ვერსიებიც გექნება, – მიუგო ჯულიეტოვიჩმა და აბდულ შაჰილივით მოტვლეპილ თავზე ხელი გადაისვა.

– მაქვს, აბა, არ მაქვს? ჩემი ვერსიები და ფანტაზიები უშრეტია, ჩემო ჯულიეტოვიჩ! – გაიბღინძა გვარამია.

– უდავოდ ნიჭიერი ხარ, მაგრამ ბოლო დროს უცნაურობები დაგჩემდა, ხან წითელ წიწაკას მაჭმევ სტუდიაში, ხან კიდენა, რა ვიცი… თან ლაპარაკის დროსაც წაუგიჟებთ ხოლმე შენ და მიშა, – ამოიკვნესა ეკა კვესიტაძემ.

– ნუთუ? – თვალები ზე აღაპყრო გვარამიამ მრავალმნიშვნელოვნად.

– დიახ, მე, გენაცვალე, ჩემი ქმარი უტიაშვილიც კი არ მექცევა ასე, – მიუგო კვესიტაძემ.

– ესე იგი, შენ ჩემს გენიოსობას არ აღიარებ, ხომ? – მკაცრი გამომეტყველება მიიღო გვარამიამ და სახე ჭიანი კარტოფილივით გაუხდა.

– მე ეგ არ მითქვამს.

– წნევა ხომ არ გაგიზომო?

– არა, ამჯერად საჭირო არ არის! – ტუჩი აიტმუკნა ეკამ.

– კარგი… კიდევ რა გვაქვს, ნოდარ, კიდევ რით უნდა დავაბოლოთ ჩვენი მრევლი?

– რითა, უმფროსო, დაა, უახლოეს ხანში ციდან ტალახიანი წვიმა წამოვა!

– რათა?

– ოჰ, ვერ მიხვდა შენი უნიკალური გონებაააა? მთელი გურია და აჭარა ხო გადათხარა ბიძინამ? ჰოდა, ეს ტალახი ავიდა ცაში და იქიდან წამოვა წვიმადააა! – ხელები აღაპყრო მელაძემ და თვალები უცნაურად გადაატრიალა. რამდენიმე წუთით დაელმდა.

– აი, გეუბნები, რააა… გენიოსი ხარ, ოღონდ ჩემს მერე! – შესძახა გვარამიამ და ნაფაზი დაარტყა.

– სიუჟეტს დავადებთ ძაან მძიმე მუსიკასააა. ციდან კიდე წამოვა ტალახი, ჭუჭყი, ძონძი და წუმწუმაიიი. ალაგ-ალაგ გაიელვებს ბიძინას სახეეე. თან იქნება ჭექა და ქუხილიიი!

– მაგააააარ! სხვათა შორის, მიშამ კიდე შემახსენა, ნოდარას გაუფრთხილდიო, ცივი ნიავი არ მიაკაროო!

– მართლა? ეგ ჩემთვის დიდი პატივია, უმფროსო, სუ იმაზე ვფიქრობ, ბატონ მიშას როგორ დავემსგავსო-მეთქი!

– მიშა ერთადერთია და განუმეორებელი, ბრიყვო! – წამოხტა ზეზე ჯულიეტოვიჩი.

– კარგი, ეხლა ნუ დაჭამთ ერთმანეთს. ისე, მიშასნაირი რო გახდე, ჯერ მე უნდა დამემსგავსო, პირდაპირ გამორიცხულია, – გაიდნაზა გვარამია.

– ჰოდა, ეგრეც ვიზამ! – გაიჭიმა მელაძე და დანარჩენებს ენა გამოუყო.

– ეხლა წადით, მარტო დამტოვეთ, ქვეყნის საჭირბოროტო საქმეებზე უნდა ვიფიქრო. ახალ სტრატეგიაზე ვმუშაობ – "როგორ გავათავისუფლოთ საქართველო ოლიგარქისგან"… ხომ კაი სათაურია, ნოდარ?

– კარგია, მაგრამ რაღაც აკლია, უმფროსო, – თქვა მელაძემ და ცხვირზე თითი გაისვა ვიოლინოს ჯოხივით.

– მაგალითად, რა?

– უნდა იყოს – "როგორ გავათავისუფლოთ ჩვენი სანუკვარი ქვეყანა ბოროტი ოლიგარქისგან".

– ვააა… გეუბნებით, გენიოსია-მეთქი ეს ბიჭი!

– ოღონდ შენს მერე, ნიკა, – დაიჭყანა ისევ მარინა ბერიძე.

– ნუ, ეგ თავისთავად… წადით, დამტოვეთ, შედეგების შესახებ ხვალ შეგატყობინებთ, – აიქნია ხელი გვარამიამ.

ისინი ფეხის წვერებზე შემდგარნი გაიკრიფნენ ოთახიდან. მთელი "თფილისი" გაუჩინარდა კარს მიღმა. ნიკამ ერთი ამოიხვნეშა და უფალს შეჰღაღადა: ოჰ, ღმერთო, მაინცდამაინც მე რატომ ამკიდე ასეთი ტვირთი? თუმცა, თუ არა მე, მაშ, ვის? აბა, ვინ არის ჩემი მსგავსი? ის ჩოილარი გაიქცა ჰოლანდიაში და ყოველი კვირის ბოლოს იძახის, უნდა ჩამოვიდეო. ჰმ… სად უნდა ჩამოხვიდე, ტოოო, ეგრევე ციხეში გიკრავენ თავსა. შენ თუ გგონია, მელაძე და მელია გიშველიან, ძალიან ცდები. აგერ, კირკიტაძე მიაბრძანეს "კაპეზეში" და აღარავის ახსოვს. ვანოც დაივიწყეს. არა, კვესო როგორ აქეზებდა, ჩამოდიო. ესეც კაი შებერტყილია. მერე წამოწვება შოთას მკლავზე და უყურებს სეირს. თავიდანვე არ უნდა გაქცეულიყო ჩვენი ჩოილარი და ყველაფერი იქნებოდა სხვანაირად.

– ნიკა, ეკა ბესელიას ვიდეოებზე თექვსმეტი "ნაციონალი" დააპატიმრეს და რა ვქნათ? – შემოაღო კარი მელაძემ.

– გამოაცხადე, რომ ჩაუდეს ამ დედამოტ…ნულებმა, მერე გამოიყვანეთ მაგათი ნათესავ-მეგობრები და ალაპარაკეთ, რომ ძაან მაგარი ადამიანები არიან, თბილები და კეთილშობილები, მაგას არ იზამდნენ. ბოლოს გაუშვი ვერსია, ეგ ყველაფერი ბიძინას დავალებით კეთდება-თქო.

– ესე იგი, ბიძინამ დაავალა სუსს და სუსმა ჩაუდო "ნაციონალებს", ხო? – გაებადრა სახე მელაძეს.

– ჰო, აბა, სხვა ვერსია გვაქვს? ჯოჯოხეთი უნდა მოვუწყოთ, ამ

7 გვ. →

ისეთი რა სიზმარი ნახეს ოსებმა, რომ თრუსოს და გუდოს ხეობას გვედავებიან?!

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე-ფაქტო მთავრობას აღარ ყოფნის საკაშვილის ხელისუფლების გაუაზრებელი, უფრო მეტიც, მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად მიტაცებულ-შემომტკიცებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიები და უკვე სხვა ძირძველ ქართულ მიწებზე უჩნდებათ პრეტენზია. ამ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ №1 დიპლომატმა დმიტრი მედოევმა გერმანული გამოცემის („ნოისე დოიჩლანდი“) ჟურნალისტს განუცხადა, რომ ყაზბეგის რაიონის ტერიტორია (ისტორიული ხევი): თრუსოსა და გუდოს ხეობები, ასევე კობი „ისტორიული აღმოსავლეთ ოსეთია“ და ეს მიწები ადრე თუ გვიან ოს ხალხს დაუბრუნდება. გერმანელი ჟურნალისტის კითხვიდან ირკვევა, რომ მედოევის უწყებას გასული წლის ივნისში გამოუცხადებია მთელი მსოფლიოსთვის: ე.წ. სამხრეთ ოსეთი არასდროს არ აღიარებს „აღმოსავლეთ ოსეთს“ საქართველოს შემადგენლობაშიო. ჟურნალისტი დაინტერესდა, ეს რა ნიშნავს და რას აპირებს ამასთან დაკავშირებით თქვენი მთავრობაო. ძალიან კი მეეჭვება, მაგრამ მაინც ვიტოვებ იმედს, რომ მედოევის პასუხი გამოაფხიზლებს „ნირვანაში“ მყოფი პოლიტიკოსებს პოზიციაოპოზიციიდან, ე.წ. უფლებადამცველებსა და ჟურნალისტებს, რომელთათვისაც აქტუალური თემა მხოლოდ საარჩევნო კანონმდებლობა, ლგბტ-თემის და მიგრანტ-ინვესტორების“ უფლებების დაცვა, ნარკოტიკების ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაცია და იმის გარკვევაა, პოლიტპატიმარ-პოლიტდევნილები არიან თუ არა „ბობოლა“ ნაცჯალათები და საპატიმროდან „მეშოკჩამოცმული“ გაიყვანეს თუ თავშიშველი ქვეყნის ექს-„ხერხემალი“ მერაბიშვილი.

დიმა-მინისტრი „ამტკიცებს“, რომ დიდი ხანია არსებობს საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი „ისტორიული აღმოსავლეთ ოსეთის“ პრობლემა, ყოველ წელს უფრო რთულდება, რაც მტკივნეული საკითხი ყოფილა მთელი ოსეთისთვის. ბოლშევიკებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რომ შექმნეს, ოსი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთი ნაწილი უკანონოდ მოწყვიტეს. თრუსოს ხეობის სიგრძე 30 კილომეტრია, ცოტა ხნის წინ იქ 12 ოსური სოფელი იყო, სადაც მთლიანად ან ნაწილობრივ არის შემორჩენილი 25 კოშკი და ციხე, 15 სალოცავი. ოსები ცხოვრობდნენ კობში და მეზობელ გუდოს ხეობაში, მედოევი აქაც ოც ე.წ. ოსურ სოფელს ითვლის.

ერთ დროს დასახლებული სოფლები ნანგრევებადაა ქცეული, ოსები იქიდან სრულად არიან გაძევებული. ეს აშკარა მაგალითია იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ოცნებობდა სამხრეთ ოსეთიც „სუფთა მინდვრად“ ექცია. „აღმოსავლეთ ოსეთი“, რომელიც ჯერ ავტონომიური ოლქის საზღვრებს მიღმა დარჩა, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობის მიღმაც, იოლი ნადავლი გახდა ქართული ექსპანსიისთვის. დღეს ამ ოსური სოფლების მცხოვრებთათვის საკუთარი სამშობლო მიუწვდომელ საზღვარგარეთად იქცაო, — ბრძანებს „ისტორიულ წიაღსვლებში“ ჩაკარგული მედოევი, მაგრამ უკან დახევას არ აპირებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, პრეზიდენტს და მთლიანად ოს ხალხს აქვს ნათელი პოზიცია, რომ ადრე თუ გვიან ეს მიწები ოსეთს დაუბრუნდება და მათზე ოსები იცხოვრებენო.

მედოევის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელ დიპლომატებს საერთაშორისო შეხვედრებზე არაერთხელ წამოუწევიათ იმ ხალხის პრობლემები, რომლებიც წარმოშობით ყაზბეგის რაიონიდან არიან. ეს საკითხები ჟენევის მოლაპარაკებებზეც დააყენეს და გააგრძელებენ მტკიცებას, რომ ოსებს აქვთ უფლება, მათი წინაპრების ისტორიულ მიწებზე იცხოვრონ. რომ ამ საკითხს ყველა დონეზე და ფორმატში დააყენებენ. იმ ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც რუსეთის საჯარისო შენაერთების დახმარებით, მთლიანად გამოდევნა ქართული მოსახლეობა სამაჩაბლოდან, გადაწვა და ისე დაანგრია ქართული სოფლები, მაგალითად, თამარაშენი. მართლა ტრიალ მინდვრად აქცია იქაურობა, გაღმით შედავების პოზიციაშია და ამ ყველაფერს ქართველებს აბრალებს. რუსეთის მხარდაჭერის გამოისობით მადაგახსნილ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფალთა მხრიდან ისტორიის გაყალბების მცდელობა და პრეტენზიები გასაგებია, საინტერესო ის არის, რას პასუხობს ამ ყველაფერს საქართველოს მთავრობა.

2007 წელს სწორედ სააკაშვილმა და მისმა პარლამენტმა, რომლის თავმჯდომარეც ნინო ბურჯანაძე გახლდათ, ე.წ. სამხრეთ ოსეთს უფრო ფართო სტატუსთან ერთად, ტერიტორიებიც გაუფართოვეს.

ნაცხელისუფლებამ ლამის წიხლით შეტენა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის შემადგენლობაში გადასული ახალგორის რაიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში, ისე რომ, ადგილობრივ მცხოვრებთათვის არაფერი

უკითხავთ და „ფეშქაშად“ ის ძირძველი ქართული ტერიტორიებიც დაუმატეს, რომელიც კომუნისტების მმართველობის დროსაც კი არ ყოფილა ხელოვნურად შეკოწიწებულ ავტონომიურ წარმონაქმნში. „საპრეზიდენტო არჩევნებიც“ ჩაატარეს და ე.წ. რესპუბლიკის პირველ პირად ქართველების სისხლში ხელებგასვრილი დიმიტრი სანაკოევი წამოასკუპეს.

ახლა ვიშვიშებენ, მკერდში მჯიღს იცემენ და ყველა ცოდვაში ბრალს „ქართულ ოცნებას“ სდებენ. მათ შორის ქართველ „მარგარეტ ტეტჩერობაზე“ პრეტენზიის მქონე ქალბატონი ბურჯანაძეც, რომლის მიერ ტაშის გრიალით არის მიღებული ყველა ზემოთქმული.

დამალვას აზრი აღარ აქვს, გამობრძანდნენ და თქვან, რომ ოსი და რუსი სამხედროები ზუსტად იმ „საზღვრის“ გაყოლებით ამონტაჟებენ მავთულხლართებს, რომელიც 2007 წელს სააკაშვილმა და ნაცხელისუფლებამ დაუდგინა. „ტელევარსკვლავი“, რუს ოკუპანტებთან „მებრძოლი“ ქაცარავაც ჩააყენონ ამის შესახებ საქმის კურსში, რომელსაც რატომღაც „პატრიოტობა“ ხელს არ უშლის რუსებთან ბიზნესურთიერთობებში.

ნაცებო, 2008 წლის შემოდგომაზე პროდასავლური იდეოლოგიის „მებაირახტრე“, „ევროდემოკრატ“ ბოკერიას მონაწილეობით ხელი რომ მოაწერეთ ხელშეკრულებას, რითაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეთ, თქვენს მიერვე გაფართოებულ ტერიტორიულ საზღვრებში, შემთხვევით, ისტორიული ხევიც ხომ არ მიაყოლეთ ოსებისთვის „ნაფეშქაშარ“ ქართულ მიწებს, „აღმოსავლეთ ოსეთს“ რომ უწოდებს და ასე თავგადაკლული ითხოვს „მინისტრი“ მედოევი?! ისე გულხვად არიგეთ ქართული მიწები, რომ ყველას მიეცით საშუალება, რაც მოესურვებათ, ის დააბრალონ საქართველოს. რუსული სახელმწიფო ტელევიზიის თოქ-შოუში უშიშროების საკითხების ექსპერტმა, ისრაელის სპეცსამსახურის ექს-შეფმა იაკობ კედმიმ ისიც კი თქვა, 2008 წლის აგვისტოს ომი დღენახევარში იმიტომ დამთავრდა, ქართველმა სამხედროებმა იმიტომ არ იბრძოლეს, რომ ცხინვალის რეგიონს თავიანთ მიწად არ თვლიანო. საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს კითხვა „ქართული ოცნების“ მიმართ უჩნდება, რომელიც მეშვიდე წელია ხელისუფლებაშია, აქამდე რატომ არ მოხდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გაუქმება, რომელიც დღემდე ოფიციალურად არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი თამარ ჩუგოშვილი ამ საკითხზე საპირისპიროს ამტკიცებს. თუ არ არსებობს ეს ადმინისტრაცია თავისი ხელისუფლებით და პირველი პირით, მაშინ რა სტატუსით დაატარებენ დიმიტრი სანაკოევს სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრებზე, კერძოდ, რისთვის ჰყავდა ის ჩუგოშვილს ბოლო ვიზიტისას ბრიუსელში?

„ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, სანაკოევის „ხელისუფლებას“

ფრიად ფეშენებელურ-კომფორტული ოფისი აქვს და მსუყე დაფინანსებასაც იღებს. საქართველოს ხელისუფლების მიერ სწორედ ამ დუბლიკატი სამხრეთ ოსური მთავრობის შექმნამ, „კოკოითი ფანდარასტის“ სიმღერამ, კოდორის (დალის) ხეობისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევამ და სხვა გაუაზრებელმა თუ მოღალატეობრივმა ნაბიჯებმა მიგვიყვანა ძირძველი ქართული ტერიტორიების რუსეთის მიერ სრულ ოკუპაციამდე და მათ დამოუკიდებელ ერთეულებად აღიარებამდე.

დიმიტრი მედოევის ხსენებული განცხადების გავრცელების შემდეგ დაგვიკავშირდა რესტავრატორი არჩილ ღუდუშაური, რომელიც წარმოშობით ყაზბეგიდან არის და კარგად იცნობს ხევის ისტორიას და გეოგრაფიულ ტოპონომიკას. რესპონდენტის განცხადებით, მედოევის პოზიცია, რომ თრუსოს ხეობა და ყაზბეგის რაიონის სხვა ტერიტორიები „ისტორიული აღმოსავლეთ ოსეთია“, არის სიცრუე და არც ის ტერიტორიებია ისტორიულად ოსების, რომელსაც მხოლოდ სამხრეთ ოსეთი კი არა, ჩრდილო ოსეთიც ჰქვია.

საბჭოთა პერიოდის ისტორია-გეოგრაფიის სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული იყო, რომ ჩრდილო კავკასიაში ერთადერთი ხალხი ოსები არიან, რომელიც არ არიან კავკასიური ტომი. ისინი ისევე როგორც ტაჯიკები, ირანულ ჯგუფს განეკუთვნებიან. რაც შეეხება სამხრეთ, ანუ ამიერკავკასიას, აქ მხოლოდ ქართველები არიან კავკასიური ჯგუფის წარმომადგენლები. სომხები ინდოევროპულს, ხოლო აზერბაიჯანელები თურქულენოვან ჯგუფს განეკუთვნებიან შუა აზიის სხვა ხალხებთან ერთად, ტაჯიკების გამოკლებით.

არჩილ ღუდუშაური: „ოსები არ არიან კავკასიელები. ტერიტორიების ისტორიული კუთვნილება მიწისა და წყლის დასახელებებით განისაზღვრება, ჩვენს მიწასა და წყალს ქართული სახელები ჰქვია, ოსების მიწასა და წყალს ოსური სახელები. მდინარე დონის აუზი არის ოსების მიწა-წყალი, ამას სახელწოდებაც გვეუბნება, დონი ოსურად წყალს ნიშნავს. ამ მდინარის კალაპოტის გარშემო მიწა, თავად მდინარე თავის შენაკადებიანად და აუზიანად იყო ოსური. ოსები ირანულ ჯგუფად კი იწოდებიან, მაგრამ ისინი დიდ ხნის წინ არიან გადმოსახლებული ხსენებულ ტერიტორიაზე და ათ საუკუნეზე მეტია მანდ ცხოვრობენ. რუსეთის იმპერიის გაძლიერების შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო მცირე ხალხების დიდი გადასახლებები. ამ ხალხებს შორის მოხვდნენ ოსებიც, რომლებიც კავკასიაში გადმოასახლეს და ეს, მაქსიმუმ, 150 წლის წინ თუ იყო. ჩეჩნები იორდანიასა და სირიაში გადაასახლეს, ლეკები სპარსეთსა და თურქეთში, ლაზები მთლიანად თურქეთში.

აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება გეოგრაფიულ დასახელებებზე. დიმიტრი მედოევს პრეტენზია რომ აქვს ყაზბეგის რაიონზე, ოსების „ისტორიული“ მიწაა, ქართველებს პრეტენზია მარტო ოკუპირებულ, კომუნისტების მიერ სახელდარქმეულ ე.წ. სამხრეთ ოსეთზე კი არა, ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზეც გვაქვს. ესეც ხელოვნურად შერქმეული სახელია. ეს ტერიტორია მთლიანად ქართულია, ისტორიული დვალეთია და მოხევეების მიწა გახლავთ. ვლადიკავკავკაზს საუკუნეების განმავლობაში ძაუგი ერქვა, იგივე მოხევეების ტერიტორია, რომელიც მოხევეების ჩვეულებრივი დაბა იყო. რუსებმა დაარქვეს მერე ვლადიკავკაზი. კომუნისტებმა გასაბჭოების შემდეგ სახელად ამ ქალაქს ორჯონიკიძე უწოდეს, ქართველი ბოლშევიკის გვარი. მთელი კავკასია ამ ქალაქს ახლაც ძაუგად მოიხსენიებს.. ასე რომ, დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ისტორიული დვალეთის მიწაა, დანარჩენი მოხევეებისა. დვალები ქართველები იყვნენ. თავის დროზე, სტალინმა წყაროებით აღნიშნა ის ტერიტორია, რასაც ჰქვია ცხვრის გზა. ქართველებს ცხვრის ფარები გამოსაზამთრებლად ამ გზით გადაჰყავდათ კასპიისპირეთში. მთელი გზა წყაროებითაა აღნიშნული – შემოსაზღვრული კასპიის ზღვამდე და რაც მთავარია, ეს წყაროები მიჰყვება ქართველთა ღმერთის შვილის სახელის მქონე მდინარეს - თერგს, რომელიც თრუსოს ხეობიდან იწყება და კასპიის ზღვაში ჩაედინება. ამ მდინარეს მთელი მსოფლიო ქართველთა ღმერთის შვილის სახელით იცნობს. ეგ ტერიტორიები ისტორიული ოსეთი რომ იყოს, ოსები ქართულ სახელს ხომ არ დაარქმევდნენ? თერგს საქართველოს ტერიტორიაზევე უერთდება მდინარე ხთესწყალი, ანუ ღმერთის წყალი. მერე არის დარიალის ხეობა, ანუ ცეცხლოვანი კარიბჭის ხეობა. აქ თერგს მარცხენა მხრიდან უერთდება მდინარე დევდორაკი, რაც დევის კარიბჭეს ნიშნავს. იგი თავისი ხეობით, თერგსა და დარიალს უერთდება. აშკარაა, რომ წყალსაც და მიწასაც ქართული სახელები ჰქვია.

ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზეა მყინვარწვერი, რომელიც ქართველთა მთაა თავისი სალოცავებით.

ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ, გერგეტის სამებას წვერის გიორგი ერქვა. მანამდე არც ეგ სალოცავი იყო ქრისტიანული, უბრალოდ ქართული სალოცავი იყო, ორი საუკუნის წინ გადაკეთდა ქრისტიანულად. თვითონ პოლიტიკური მმართველობა რასაც ჰქვია, ისტორიულ ხევში იყო ბერობის ინსტიტუტი, საერთოდ საქართველოს მთაში იყო ე.წ. თანაბარული სისტემით მმართველობა. მთლიანად ხევი თავისუფალი გლეხები იყვნენ, თავისუფალი თემი იყო, რომელიც ირჩევდა წინამძღოლს, ხევისბერს. ამ მმართველობას ხომ ვერავინ უარყოფს?! რომელ ოსურ მიწაზეა საუბარი, როცა თვითონ ოსებიც აღნიშნავენ, რომ ასეთი თავისუფალი მმართველობის ინსტიტუტი, თანაბარი პირობებით ერთმანეთთან ურთიერთობა, მთელ მსოფლიოში არსად ყოფილა. ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოსების კავკასიაში წარმოჩენა, ისევ ქართველებს დაევალათ, ოსებზე რა ფილმებიც არის გადაღებული „ფატიმა“, „ჩერმენი“ და ა.შ. ქართველი რეჟისორების გადაღებულია კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. მთლიანად ოსური ცეკვები, ძირითადად, სტალინის დავალებით, ქართველმა ქორეოგრაფებმა შექმნეს, ხონგა, სიმდი და ა.შ. ქართველების შექმნილია.

მართლა მაგათი რომ იყოს ქართული მიწები, რაზეც პრეტენზია აქვთ, იგივე ე.წ. სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი, მაშინ იქაც ექნებოდათ იგივე ვასთერჯისა (კაცების ღვთაება) და სატანას (ქალების ღვთაება) სალოცავები, აქაც ოსები თავიანთსას ივიწყებენ და თვითონაც ქართული ღვთაების გიორგის გარდაცვალების და წამების დღეებს აღნიშნავენ. თრუსოს ხეობაში სულ ქართული დასახელების ციხე-სიმაგრეებია, მათ შორის თამარის ციხე. ამ ციხეს მთელი მსოფლიო თამარის ციხეს უწოდებს. სხვათა შორის, ბოლო ხანს რუსული ტელევიზიით იყო გადაცემა ჩრდილოეთ ოსეთზე, სადაც საუბრობდნენ, რომ ამ ტერიტორიაზე მთლიანად ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებია, იგივე მეფე არჩილის ნიში, ქართული სალოცავები და ქართული სამარხები. ამას თავად რუსები აღნიშნავენ. რუსებმა ოსები იმიტომ გადმოასახლეს შუაგულ რუსეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ ისინი ერთადერთი ცალკე მცხოვრები ხალხი იყო, რომელსაც დამოუკიდებელი რელიგია ჰქონდა. ერთი სიტყვით, რუსებმა ოსები, როგორც სხვა რელიგიის წარმომადგენლები, მოიცილეს, თანაც მთელი ხალხი, რაც ცალკე გამოყოფილი გენოციდი გამოდის, თან ორმაგი გენოციდი რუსეთის მხრიდან.

საოცარია, რომ ყაზბეგის რაიონის მიწების ოსების კუთვნილებაზე პრეტენზიებს აცხადებს კაცი, დიმიტრი მედოევი, რომელსაც გვარიც კი რუსულად აქვს წარმოდგენილი. ეტყობა, რცხვენია, ოსურად ვერ წარმოსთქვამს საკუთარ გვარს...

საკუთრივ ოსებს, როგორც ხალხს კი არ ვემტერები, უბრალოდ, პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეთ სხვის მიწაზე, თანაც სხვისი ძალისა და მფარველობის იმედად“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ვირთა ვარამი

5 გვ.

დედამოტ...ნულებს! – დაიწყო ბოლთის ცემა გვარამიამ. ჰო, კიდე ისა... ჯანგოს დაურეკე, აქუმ ელისაშვილი მიიყვანოს სტუდიაში და რაც შეიძლება ბევრი ყ..ეობა ალაპარაკოს, პირდაპირ კალაძეს დაადოს ხელი. ჭუტას "პირველშიც" გადარეკე, ერთი კაი შოუ მოაწყონ დაპატიმრებულების თემაზე, არასამთავრობოები მიიყვანონ და ადამიანის უფლებებზე გაუშვან ბაზარი. კიდე მოვიფიქრებ რაღაცებს და დაგიძახებ.

– კარგი, უმფროსო, მაგრამ აღარ ვთქვათ ხაზგასმით, რომ დღეს ეკა ხარ?

– არა, მაგაზე თავი შევიკავოთ, ეხლა დაკავებულებს უნდა მივხედოთ და გამოვიხსნათ მტარვალი ოლიგარქისგან!

– მეც ეგრე ვფიქრობდი! – გაიხურა კარი მელაძემ.

გვარამია სავარძელში ხვნეშით ჩაეშვა და ღრმად ამოიგმინა: ო, როგორ მძულს ბიძინა ივანიშვილი, ვერ ვიტან, მეზიზღება, რომ შემეძლოს, დიდი სიამოვნებით დავხვრეტდი... თუ ვერ დავხვრეტდი, სიცოცხლეს გავუმწარებდი. კი ვუმწარებ სიცოცხლეს, მაგრამ პირწავარდნილი ანაკონდაა. არ მოქმედებს, ისე იქცევა, გეგონება არაფერი ხდება. ნიკოლოზ, რატომ გძულს ეს ადამიანი, შენ ხომ კაცთმოყვარე ლიბერალი ხარ? – ჩასძახა იმავე წუთს მეორე "მე"-მ, მეორე ნიკოლოზმა. ჰმ... კაცთმოყვარე და ლიბერალი. — ვერ ვიტან ამ სიტყვებს, როცა საქმე ეხება ჩემს მამულს, ჩემს დედულს, ჩემს სამშობლოს! ჩვენ ვაშენებდით ქვეყანას, ვაგებდით გზებს, ვღებავდით ფასადებს. მერე რა, რომ ზოგს ვკლავდით, ზოგს კიდე ვტ...ნავდით, ამას ხომ მამულის სიყვარული ითხოვდა? აბა, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, თქვე ჩემისებო? მოვიდა ეს ანაკონდა, გამოძვრა ჭორვილის სოროდან და ყირაზე დაგვიყენა მთელი ცხოვრება. ეხლა მამუნათებენ, წითელ წიწაკას ჭამ და ჩვენც გვაჭმევო, კუჭები დაგვიავადდაო, ტრაკები გვეწვისო. არადა, თუ წითელ წიწაკას არ ჭამ და ტრაკი არ გეწვის, რაა მამული?! – ასე წაეჩხუბა პირველი "მე", ანუ პირველი ნიკოლოზი მეორე "მე"-ს, ანუ მეორე ნიკოლოზს.

– უმფროსო, ერთი იდეა მაქ და უნდა გაგანდო, – ისევ შემოყო თავი კარებში მელაძემ.

– ჰო, მითხარი, რა ჩემი ფეხები გინდა?!

– ამაღამ რო გამოვაცხადოთ, თბილისში წყალი მოწამლულია და არ დალიოთო, როგორი იქნება?

– მძიმე მუსიკა დაადე და "სტრაშნი" ხმით გამოაცხადე, ონკანებში წუმწუმა მოდის-თქო, თან დააკომენტარე, მაგ წუმწუმას სოლოლაკის საიდუმლო სასახლიდან უშვებენ-თქო!

– მეც ეგრე ვფიქრობდი! – გაიხურა კარი მელაძემ.

გვარამია კვლავ ჩაიძირა ფიქრებში: ესე იგი, თუ ტრაკი არ გეწვის, რაა მამული? რაღა წიწაკით უნდა გეწვოდეს, ავჯიკა არ წავა? – გამოეპასუხა მეორე "მე". წიწაკა უფრო გამოკვეთილია, უფრო ეფექტურია! – გაბრაზდა პირველი "მე".

დაიღალა, ძალიან დაიღალა ნიკოლოზი, ბოლო დროს მოჩვენებებიც მოეძალა. ბადრი პატარკაციშვილი გამოეცხადება ხოლმე, არაფერს ეუბნება, დგას და უბრალოდ იღიმის. ასეთი დუმილი უფრო მძიმეა, ამ დროს ორგანიზმის ქავილი ეწყება შიგნიდან. ამას როდემდე გაუძლებს, არ იცის. თუმცა უნდა გაუძლოს, მეტი რა გზა აქვს? არ უნდა, შვილებმა და შვილიშვილებმა ივანიშვილის საქართველოში იცხოვრონ. ერთი ხანობა ფიქრობდა, თუ სალომე პრეზიდენტი გახდებოდა, საერთოდ წასულიყო სამშობლოდან, მაგრამ გადაიფიქრა, ვის უნდა დაუტოვოს ქვეყანა, ვის, ქოცებს?

ნურას უკაცრავად!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მიხას ტარტაროზები და დაბალ-დებილი ფენები

ძვირფასო მკითხველო, წინა წერილში გიამბეთ, თუ რა მეთოდებით იბრძვის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ "ნაციონალური მოძრაობა" თავის სატელიტებთან ერთად, გაერთიანებულ ოპოზიციას რომ უწოდებენ. იმაზეც გესაუბრეთ, თუ როგორ იყენებენ ისინი ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრის იოზეფ გებელსის მეთოდებს – "დააბრალე ყველანაირი სიბინძურე, დაე, იმართლონ თავი. დააბრალე ის, რასაც თავად წარმოადგენ".

წინა წერილში ისიც გითხარით, რომ, სამწუხაროდ, მიხა სააკაშვილის მიერ მართულმა ხროვამ საწადელს მიაღწია და დღეს, გარკვეულ წრეებში, მეტადრე დაბალ (დებილ) ფენებში, უკვე გაჩნდა არნახული აგრესია ივანიშვილის მიმართ.

სანამ ქართულ პოლიტიკაში "ქართული ოცნება" გაჩნდებოდა, კობა დავითაშვილს აქვს ნათქვამი ერთ-ერთ ინტერვიუში: 2004 წელს ხელისუფლებაში რომ მოვედით, რამდენი მიშას კაბინეტში შევედი, იმდენი ადოლფ ჰიტლერის "მაინ კამპფს" ("ჩემი არჩევანი") კითხულობდაო. ერთხელაც ავიღე ეს წიგნი და დავუმალეო. რა გამოდის? სააკაშვილს ძალიან კარგად აქვს შესწავლილი არა მხოლოდ გებელსის პროპაგანდა, არამედ ჰიტლერის იდეოლოგიაც. წინა წერილში ისიც აღვნიშნე, რომ მართალია, ჰიტლერისა და "მიშტლერის" სამოქმედო არეალი, ანუ მასშტაბები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, თუ სულით ფაშისტი ხარ, შეიძლება შენი ძალადობრივი შესაძლებლობები ორ-სამ ადამიანზეც განახორციელო.

სიცრუე, ფაქტების გაყალბება, ცილისწამება და ამ ყველაფერში მასების ჩათრევა, აი, ეს იყო და არის სააკაშვილის მთავარი იდეოლოგია. სამწუხაროდ, ადამიანებზე ხშირად ისეთი სიყალბეც კი ახდენს გავლენას, რომელსაც ჩვენ არასერიოზულად ვუყურებთ და უბრალოდ გვეცინება. ეს კი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის (არ დავიწყებ მიეთმოეთს და პირდაპირ ვიტყვი) უტვინობაზე მიანიშნებს. საზოგადოების ამ ნაწილში გადიან ე.წ. პოლიტიკური "ბომონძლის" წევრებიც და კულტურის ე.წ. მოღვაწენიც, რომელთაც წლების განმავლობაში უანგაროდ არჩენს ბიძინა ივანიშვილი.

ამას ჩვენ უმადურობას კი ვეძახით, მაგრამ, სინამდვილეში, ვირეშმაკობაა. მე, პირადად, ძაღლის ნაკბენივით მახსოვს რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი თეატრის თანამშრომლებმა როგორ ატეხეს წიოკი, როცა ივანიშვილის საჩუქარი დაუგვიანეს.

— ეს როგორ და რანაირადო? ჩვენ ბანკებში პროცენტები გვაქვს გადასახდელი, რას ჰქვია, გვიგვიანებსო?

მათი გამოხტომიდან რამდენიმე დღეში პრობლემა აღმოიფხვრა და ლამის ბოდიშიც მოუხადეს, მაგრამ არასოდეს მინახავს, რომელიმე მათგანი (ორი-სამი გამონაკლისის გარდა) გამოსულიყოს და ივანიშვილი დაეცვას. არა, დაცვას ვინ ჩივის, ხმებიც კი მომივიდა, ზოგიერთი მათგანისთვის ბიძინას ხსენება უკვე სამარცხვინო მოვლენად იქცა და მეტიც, ზოგიერთმა საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა გრიგოლ ვაშაძეს მისცა. თქვენ რა, ამ ყველაფრის შემდეგ არ გეჩვენებათ, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს რამსები აქვს არეული და ისე იხრჩობა ბოღმაში, უკვე საკუთარ თავსაც კი ვნებს? ვერ ამიხსნია, რატომ უნდა წავიდეს ის ადამიანი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რომელიც წლების განმავლობაში თავად ივანიშვილის ჯიბეზეა ჩამოკიდებული? კაი, ბატონო, თუ ეს კაცი არ გეპიტნავება და ხელისუფლებაში ისევ ფაშისტების დაბრუნება გინდა, მაშინ უარი თქვი, გამოდი და განაცხადე, რომ არ გსურს, მისი დახმარებით იცხოვრო, შენც ნინო ანანიაშვილი, ან ნანა ალექსანდრია, ან კიდევ ჯულიეტა ვაშაყმაძე ხომ არ ხარ, მათსავით ამორალურად იცხოვრო?! პრინციპში, უკვე ცხოვრობ და ეგაა, ერთი ხელით ვაშაძეს ხაზავ, მეორე ხელით ბიძინას ფულს იღებ!..

დავუბრუნდეთ მიხა სააკაშვილის მიერ გაყალბებულ პროპაგანდას, რომლისაც, სამწუხაროდ, გაუნათლებელ ადამიანებს სჯერათ: ჰოლანდიაში გაქსუებულმა მიუნჰაუზენმა თავის ბოლო ინტერვიუში დააბრეხვა — გაზაფხულიდან ბიძინა ივანიშვილი "რუსთავი 2"-ის დახურვას და "ფეისბუქის" გაუქმებას გეგმავსო. ნახეთ, როგორ "ოსტატურად" გააპარა, ტელევიზიას და სოციალურ ქსელს დახურავსო. კაი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, "რუსთავი – 2" ქიბარ ხალვაშს ეკუთვნის და ალბათ, დღეს თუ ხვალ მაინც გადაეცემა, მაგრამ, საინტერესოა, როგორ უნდა დახუროს ივანიშვილმა "ფეისბუქი"? ყველა ნორმალურმა ადამიანმა მშვენივრად უწყის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ მარო ბაბომ და შაქრო პაპამ ამდენი იციან? არ იციან, ისინი მთელი დღე ვენახში იყვნენ წაკუზულები, საღამოს მოვიდნენ, ივახშმეს, "კუშეტკაზე" წამოწვნენ, ტელევიზორს შეხედეს და გაოგნდნენ: ბიძინა ტელევიზორს ხურავს და კიდევ იგეთ რაღაცას, ჩვენ რო ჯერ არ ვიცითო. ეტყობა, ძაან მნიშვნელოვანი რამეა, თორე რათა ჰხურამსო?!

საქართველოში კიდე ეგეთი მარო და შაქრო აუ, რამდენიააააა!

როდესაც მიხა რაღაც სისულელეს დააბრეხვებს ხოლმე, ჩვენ გვეცინება, მაგრამ მისი ბრმა მომხრეები ინდაურებივით ყლაპავენ. იცის ეს მიხამ და ამიტომაც აბრეხვებს. ნინო ბურჯანაძეს აქვს მოყოლილი: ერთხელაც მიშამ აიჩემა, თბილისის აეროპორტი ხელახლა უნდა გავხსნა და მის ეზოში ვენახი გავაშენოო. ეს პერიოდი, ალბათ, ყველას გახსოვთ. გამოხტა მიხა, გახსნა კომუნისტების დროს აშენებული აეროპორტი და დაიწყო — ჩვენი ყველასა სჯობიაო, ევროპულ აეროპორტებზე უფრო მაგარიაო, მაგალითად, მიუნხენისა ამასთან შედარებით ქოხივით გამოიყურებაო. როდესაც ტრაბახს მორჩა, თურმე ნინო ბურჯანაძემ შენიშნა მისცა – მიშა, რაში გჭირდება ასეთი ტყუილები, ხომ იცი, ევროპული აეროპორტები უფრო მაგარიაო? ნინო, ეგ ჩვენ ვიცით, რომ მაგარია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის 95 პროცენტი აზრზე არ არიო. ესე იგი, რა გამოდის? მიხა 95 პროცენტს აბოლებს და ესენიც იჯერებენ. მართალია, მას მერე, მით უმეტეს, ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ უფრო ბევრი ჩვენი თანამოქალაქე გავიდა ევროპაში, სადაც შედარებით მეტად უნდა გათვითცნობიერებულიყვნენ, მაგრამ ასე არ მოხდა, ისინი მაღაზიებში დარბიან ბოტასების მოსაპარად, სულაც არ აინტერესებთ, რომელ ქვეყანას როგორი აეროპორტი, ან როგორი ბუნება და ისტორიული ძეგლები აქვთ. აბა, ეხლა აშშ-ში მიხას რომ ხვდებიან აქედან გაქსუებულები და ვითომ საქართველოში მარშით დაბრუნებას აპირებენ, მაგათ რა უნდა ველაპარაკოთ მე და თქვენ? დავუშვათ, მართლაც დაუჯერეს ამ სირაქლემას და მოადგნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, მერე რა, ვის რა უნდა გადაუღუნონ?!

მიხა სააკაშვილს აქვს კიდევ ერთი მეთოდი – მოსყიდვა ფულით, ან ფულის გარეშე ისე, რომ დაპირდება და მერე გადააგდებს. ამ მეთოდზე ძირითადად ე.წ. პოლიტიკოსები და ე.წ. მოჟურნალისტო ელემენტები ეგებიან ხოლმე. აგერ, გამოაცხადა, 10 მილიარდი დოლარი მაქვს მობილიზებულიო და ეგრევე დაერჭო გუბაზ სანიკიძე ჰოლანდიაში. თქვენი არ ვიცი და... მე დაზუსტებით წარმომიდგენია, როგორ დაიწყო მასთან საუბარი ბატონმა გუბაზმა: ჯერ ბოდიშს მოუხდიდა (ლევან ბერძენიშვილივით), რომ ივანიშვილში შეცდა, მერე მოუყვებოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის დაბრუნებას საქართველოში, რათა საქართველო გადარჩეს, ბოლოს კი ყურში ჩასჩურჩულებდა, მე მილიონი მაინც უნდა მერგოს ამ საქმიდან, ძმაო, აბა, როგორ გინდაო? მიხაც ყველაფერზე თავს დაუქნევდა და დარჩებოდა ორივე კმაყოფილ-გაღიმებული. აქ ერთი საყურადღებო მომენტია, ამჟამად გუბაზ სანიკიძე არის ნინო ბურჯანაძესთან, ალბათ ჰოლანდიაში ვერ ჩავიდოდა, თუ არ ექნებოდა მისი "დაბრო". რა გამოდის? თუ ბურჯანაძე თანახმაა, რომ მისმა "პადელნიკმა" მიშასთან იაროს, მაშინ თვითონაც გარეულია ამ საქმეში. ჰოდა, მე რომ 2012-ში ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა (ქალბატონმა ნინომ იცის, ვინც მითხრა): ეგ ქალი მიშასთანაა შეკრული, ვერ ვენდობიო, მაშინ მაგ ქალმა ქოში უკუღმა ყარა და პრესკონფერენციები მოაწყო – რასაა, რომ მკადრებთ, ვისაა, რომ ჰკადრებთო?! სიმართლე გითხრათ, მაშინ მეც ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ახლა აღარ მიკვირს, ის კაცი მართალი ყოფილა. გუბაზი გახარებულია, მიშა ხალხს კრებსო.

მიხა ისევ ტრიპაჩობს, საქართველოში გამოვჩნდები თუ არა, 78 საათში ბიძინა ივანიშვილი გაქრება, გვერდით დამდგომიც კი აღარავინ დაურჩებაო.

ისევ ცდება ბატონი მიხა, მართალია, ბიძინას ბევრმა უღალატა, ბევრმა გამოიყენა მისი სახელი სათავისოდ და ბევრმა ფულიც აკეთა მისი სახელით, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არ დაუშვებენ ფაშიზმის დაბრუნებას.

კიდევ ერთი ადამიანი (მრავალთა შორის), რომელიც საკუთარი ხელით ითხრის სამარეს, ეს გახლავთ იურისტი ვალერი გელბახიანი. როგორ დღევანდელივით მახსოვს, 2012 წლის ზაფხულში შალვა რამიშვილთან რომ მქონდა კამათი – მაშინ გელბახიანი გაქცეული იყო, ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე დასაჭერად დასდევდნენ. შალვა მიმტკიცებდა, გელბახიანი არ არისო სანდო... უფრო სწორად, არ არის კაი კაციო. მე ვეუბნებოდი, რომ ასე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, კაცი სააკაშვილის მსხვერპლია, ჩამოვიდეს უკრაინიდან, იყოს თავის სამშობლოში, თანაც საჩხერელია, რას ერჩი-მეთქი? ჰო, მაგრამ მაინც არ არის კაი კაციო. ცდები-მეთქი.

მოვიდა ბიძინა. დააბრუნა ვალერიც. ამან მოითქვა სული — გაიჭიმა, გაიზმორა, მიიხედ-მოიხედა, შეძვრა აქუს კანტორაში და დაიწყო: ეხლაო, ჩემო "პავიდლო" ხალხოო, მეო, მიშაში უკვე გმირს ვხედავო.

—უი, ეს რა მესმის? თურმე შალვა რამიშვილი მართალი ყოფილა-მეთქი! – ვიკბინე საკუთარ ყურზე და შემრცხვა.

ახლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შალვას ბოდიში მოვუხადო, რომ არ დავუჯერე და ვეწინააღმდეგებოდი.

ამასწინებზე ქართული საზოგადოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თეიმურაზ კვარაცხელიამ "ფეისბუქში" ასეთი შეკითხვა დასვა: იქნებ ჩამოთვალოთ თუნდაც სამი რამ, რაც ხელისუფლებამ ბოლო 30 წლის განმავლობაში ხალხის საკეთილდღეოდ გააკეთა? უმრავლესობის პასუხი იყო – არაფერი. გაიგეთ? არაფერიო. 600 ათასიდან ერთ ადამიანსაც არ დასცდენია, მე რომ ბანკის ვალი ჩამომაწერეს, ეს სიკეთე იყოო. არავის უთქვამს, ბიძინამ თეატრები და ეკლესია-მონასტრები, ეს სიკეთე იყოო. 80 მილიონი ლარი დასეტყვილ მევენახეებს რომ აჩუქა, ეს სიკეთე იყოო. რომელი ერთი ჩამოვთვალო? არა, კაცო, არაფერი არ გაკეთებულა ქვეყნის სასიკეთოდ, არაფერი, სულ არაფერიო. გულში კი ვთქვი: მაშ, მტყუნის კეთილები-მეთქი, მაგრამ ეს არ კმარა!..

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

რა შედეგები მოჰყვება გამოცდების გაუქმებას?

განათლების სამინისტროს მიერ დაანონსებულ რეფორმაზე საკუთარი მოსაზრება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ გაგვიზიარა:

— სასკოლო-საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით, მედიაში, ძირითადად, იმ ადამიანების მსჯელობა გვესმის, რომლებიც გამოცდების გაუქმებას ეთანხმებიან. ერთეული შემთხვევებია, როცა განსხვავებული აზრი ისმის, ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ — განცხადებები, რომ სასკოლო-საატესტატო გამოცდები არც ერთ ქვეყანაში არ ტარდება, არის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობა. უამრავ ქვეყანაში სკოლის გამოსაშვები გამოცდა ეროვნულ დონეზე ტარდება, ჩვენ კი სკოლას მოსწავლეზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ დავუტოვეთ, ამიტომ ნუ გაგვიკვირდებათ, თუ მოსწავლე დაკარგავს მოტივაციას და სკოლაში აღარ მოვა.

— ქალბატონო მაია, სპეციალისტები დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ე.წ. „კატის“ გამოცდების მოდელის საშუალებით მოსწავლის ობიექტურად შეფასება შეუძლებელია.

— იმისთვის, რომ სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვროს, რისი შეფასება სურს, „კატის“ გამოცდების გაუქმება კი არა, მისი შინაარსობრივი ნაწილის გადახედვა და უფრო მეტად დახვეწა იყო საჭირო. მე ვხედავ, რომ ქვეყანაში „კატის“ გამოცდების წინააღმდეგ დემაგოგია მიმდინარეობს და ამის თქმის საფუძველს ძალიან ბევრი გარემოება მაძლევს. ვიღაცას ძალიან სურს, რომ სკოლაში არსებული პრობლემები და სწავლა-სწავლების დაბალი ხარისხი ამ გამოცდებს გადააბრალოს, თუმცა, არა მგონია, რომ გამოცდების გაუქმება ამ პრობლემებს მოხსნის. არ მესმის, რატომ გვექნება მაგალითად, მათემატიკაში უკეთესი შედეგები „კატის“ გამოცდების გაუქმების შემდეგ ან საერთოდ თუ გვექნება რაიმე შედეგი საბუნებისმეტყველო საგნებში, როდესაც მოსწავლეებმა იციან, რომ ამ საგნებში გამოცდას აღარ ჩააბარებენ. ჩემი აზრით, გამოცდების გაუქმების შემდეგ სკოლის როლისა და ფუნქციის დაკნინების ხარჯზე გაიზრდება და გაძლიერდება რეპეტიტორთა ინსტიტუტი. ბავშვები 8 საგნის ნაცვლად, მხოლოდ 4 კონკრეტულ საგანში მოემზადებიან, რომელთა ჩაბარების ვადებულებაც უმაღლეს სასწავლებლებში ექნებათ. მე მაინტერესებს, რატომ მივდივართ იგივე წრეზე? რატომ ვბრუნდებით 2004–2010 წლებში, როდესაც ვნახეთ, როგორ ჩამოიშალა და განადგურდა სკოლა სასკოლო-საატესტატო გამოცდების გაუქმების შემდეგ, როდესაც მოსწავლისთვის უკვე სკოლაში სიარულიც კი აღარ წარმოადგენდა ვალდებულებას.

— მაშინ სააკაშვილი იძულებული გახდა, თავისი გაუქმებული გამოცდები თავადვე აღედგინა..

— დიახ, სწორედ ამას ვამბობ. ეს საგანგაშო მდგომარეობა რომ გამოესწორებინათ, იძულებულები გახდნენ, მათივე მიღებული გადაწყვეტილება შეეცვალათ და 2011 წლიდან სასკოლო-საატესტატო გამოცდები დაეწესებინათ. ჩემთვის სრულიად გაუგებარია თავდასხმები ისეთ ინსტიტუტზე, რომელმაც თავისი კომპეტენტურობა და პროფიონალიზმი წლების განმავლობაში დაამტკიცა. ვგულისხმობ, გამოცდების და შეფასების ეროვნულ ცენტრს, რომელმაც მისაღები გამოცდების სახით სამართლიანობა დაამკვიდრა. ვფიქრობ, ეს ქვეყანაში ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომლის ავტორიტეტი და ობიექტურობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. დღეს კი უნდათ, რომ ცენტრს ეს ფუნქცია ჩამოართვან და სკოლებს გადასცენ.

— როგორც ვიცი, ამ საკითხზე ჯერჯერობით მსჯელობა მიმდინარეობს..

— დღეს ამ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს არა საზოგადოებრივი მსჯელობა მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების ჩართულობით, არამედ ერთი და იგივე გუნდის მიერ ვრცელდება განცხადებები და არავინ საუბრობს პროგნოზზე — როგორი იქნება „კატის“ გამოცდების გაუქმების შემდეგ სხვადასხვა საგნებში მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის ხარისხი და ვინ შეაფასებს ამ ცოდნას? აქ მთავარია კითხვა — შეძლებენ თუ არა სკოლები საგამოცდო პროცესში შეინარჩუნონ ობიექტურობის ის მაღალი სტანდარტი, რომელიც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა წლების განმავლობაში დაამკვიდრა? როგორი იქნება სკოლების მიერ შემუშავებული ტესტების ხარისხი? შინაარსობრივი ნაწილი, გამოცდების ჩაბარების მეთოდიკა და რამდენად ობიექტურად წარიმართება ამ ტესტების შეფასება? საერთოდ, გამოცდები მოიხსენიება უარყოფით კონტექსტში, რაც ასევე გამაოგნებელია. დაამკვიდრეს, რომ გამოცდის არსი არის ძალიან ნეგატიური, რომ არ შეიძლება გამოცდის ჩატარება და არ შეიძლება მოსწავლე გამოცდაზე ორიენტირებული იყოს. აი, ეს არის საგანგაშო მაშინ, როდესაც გამოცდა სხვა არაფერია, თუ არა მიღებული ცოდნის შეფასება. თუ ასეა, მაშინ ნუ ჩავატარებთ სკოლებში შემაჯამებელ წერით მუშაობას, ბავშვისთვის ისიც ხომ სტრესია? ისიც ხომ ფასდება მასწავლებლის მიერ? ნუ ჩავატარებთ მასწავლებელთა გამოცდებს. ზოგადად, რა საჭიროა გამოცდები, თუ ამ კონტექსში განვიხილავთ? ჩემი პროგნოზით, თუ მოვლენები ასე განვითარდა და ყველაფერი ამაზე მეტყველებს, რომ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი გაუქმდება. ამის შემდეგ, დღის წესრიგში მასწავლებლის სახლის გაუქმება დადგება და შემცირდება პედაგოგთა რაოდენობა, რაც მცირეკონტინგენტიანი სკოლების დახურვას გამოიწვევს. თავის მხრივ, ამას სოფლების დაცლა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება მოჰყვება და ამ ვითარებაში როგორ მივიღებთ უკეთესი სწავლა-სწავლების ხარისხს, სრულიად გაუგებარია. ვერ გეტყვით, რა ინტერესი იდო ამაში, უბრალოდ, ერთი ვიცი, რომ იგეგმება პედაგოგთა მასობრივი შემცირებები.

— მასწავლებლის სახლის მისამართით ხშირად ისმის კრიტიკა, რომ უზარმაზარი დაფინანსების მიუხედავად, ვერ ახერხებს პედაგოგთა გადამზადებას, რომ მასწავლებლები გამოცდებზე იჭრებიან და მათი მომზადების დონე დაბალია და ა.შ.

— მასწავლებლის სახლის შექმნის მიზანი იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ზუნვა და ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობა. მასწავლებლის სახლის გაუქმების შემთხვევაში კვალიფიკაციის მიმართულებით მწყობრი, ინტენსიური, თანმიმდევრული პროგრამა აღარ ჩამოყალიბდება. ეს მიმართულება საერთოდ აღარც დგას დღის წესრიგში, ვინაიდან წლების განმავლობაში ვერ იქნა და ვერ მივიღეთ პედაგოგთა პროფესიული განვითარების გამართული სისტემა. მასწავლებლის სახლის მხრიდან ხორციელდებოდა ერთჯერადი, ფრაგმენტული ტრენინგები და იმის მაგივრად, რომ ამ მიმართულებით მომსახურეობა უფრო გაუმჯობესებულიყო და ინტენსიური გამხდარიყო, როგორც ვხედავ, ესეც აღარ იქნება.

— განათლების სამინისტროს მიერ დაანონსებული ცვლილებების თანახმად, უმაღლეს სასწავლებლებს საშუალება ექნებათ თავად განასაზღვრონ საკონკურსო ბარიერი. თქვენი აზრით, ეს სიახლე როგორ აისახება განათლების დონეზე?

— ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი უმაღლესი სასწავლებელია და საკონკურსო რაოდენობა აბიტურიენტთა რაოდენობას აჭარბებს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ ვითარებაში უმაღლესი სასწავლებელი მინიმუმზე დაწევს ბარიერს, რაც ბოლომდე გაანადგურებს განათლების ხარისხს. დაანონსებული ცვლილებები გაანადგურებს არა მარტო სასკოლო, არამედ უმაღლეს განათლებასაც. ასევე ძალიან დიდი საფრთხის ქვეშაა პროფესიული განათლება, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სისტემა დიფერენცირებულ, პროფილურ სწავლებაზე უნდა გადასულიყო. სკოლის ბოლო საფეხურზე უნდა გაეძლიერებინათ მოსწავლეთა პროფილების მიხედვით მომზადება. განსაზღვრული იყო სხვადასხვა მიმართულება: ტექნიკური, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და პროფესიული. ახლა კი რა მივიღეთ? 11000-ზე მეტ სკოლადამთავრებულზე, რომელმაც შარშან საატესტატო გამოცდა ვერ ჩააბარა, ატესტატები გაიცემა, რადგან სასკოლო და საატესტატო გამოცდები გაუქმებულია.

— თუ არ ვცდები, განათლების სამინისტროს ასეთი განცხადება არ გაუკეთებია..

— განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ, სავარაუდოდ, ასე მოხდება. თუკი ყველა უგამოცდოდ მიიღებს ატესტატს, მაშინ მათაც უგამოცდოდ უნდა მიიღონ ან სკოლაში დაბრუნდნენ და ბოლო ერთი წელი ისწავლონ. ნებისმიერ შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებელი კარგავს კონტინგენტს და პროფესიული განათლება ნადგურდება. იმის ნაცვლად, რომ რეფორმის მიმართულებები კომპლექსური ყოფილიყო და ყველა მიმართულებით (სკოლა, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებელი, მეცნიერება) გაძლიერებაზე ყოფილიყო ორიენტირებული, იმის ნაცვლად, რომ ეს ჯაჭვი შეკრულიყო, ყველა მიმართულებით უკუსვლაა.

— რეფორმის მიმართ თქვენი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია განათლების სამინისტროს თუ გაუზიარეთ?

— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახეზეა აბსოლუტურად ჩაკეტილი რეფორმის მზადების პროცესი, ამიტომ ჩემი პოზიცია მხოლოდ საჯარო განცხადებით გამოვხატე და უშუალოდ მინისტრთან ამ თემებზე არ მისაუბრია. ეს არის ერთპიროვნულად, ავტოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილება ისეთ გუნდთან ერთად, რომლის ზოგიერთ წევრს თავის დროზე პასუხი უნდა ეგო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ჩიხში შეყვანისათვის. ამ ცვლილებებზე მუშაობს ე.წ ექსპერტების ერთი და იგივე გუნდი, რომელიც 2004 წლიდან მოყოლებული ან რეფორმის სათავეებში იდგა, ან რეფორმის განხორციელების პროცესში, ყველა მინისტრს და ყველა რეფორმას მხარს უჭერდა.

—იქნებ დაგვიკონკრეტოთ ვის გულისხმობთ?

— პირდაპირ გეტყვით — ბატონი სიკო ჯანაშია, რომელიც იყო განათლების მინისტრის მოადგილე და სწორედ მისი პროექტი იყო საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებული სწავლება, რამაც ეს საგნები გაანადგურა. შარშანწინ იყო იმ თაობის ბოლო გამოშვება, რომელმაც სკოლაში ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია ვერ ისწავლა იმიტომ, რომ თავის დროზე, ბატონი ჯანაშიას მცდელობით, ინტეგრირებული და ტრიმესტრული სწავლება იქნა შემოღებული. მინდა ყურადღება გავამახვილო გია მურღულიაზე, რომელიც ასევე ყველა მინისტრის მხარდამჭერი იყო. შემიძლია მის მიერ 2010–2011 წლებში გაკეთებული უამრავი განცხადება განახოთ, სადაც მხარს უჭერდა სასკოლო-საატესტატო გამოცდების დაწესებას და ამას მშვენივრად ასაბუთებდა, თუმცა დღეს რატომღაც საპირისპიროს ამტკიცებს. აი, ეს არის გუნდი რომელთანაც ძირითადად, მიმდინარეობს განხილვები ამ მეტად აქტუალურ თემებზე. ამიტომ სულაც არ მიკვირს, რომ წარუმატებელი რეფორმების ავტორებს და მხარდამჭერებს გამოცდებისთვის სურთ სკოლაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადაბრალება. არა მგონია, რომ გამოცდების გაუქმება პრობლემებს, რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა, მოხსნის.

ნელი თორდია
571 35 36 88

ნიკოლას მადურო: არავითარ ულტიმატუმს არ მივიღებთ!

სამხრეთ ამერიკაში, მოგეხსენებათ, ახლა ბუნებრივი ზაფხულია, მაგრამ მიმომხილველებმა ეს ზაფხული „ვენესუელის ზამთრად“ შერაცხეს. მიზეზი ქვეყანაში განვითარებული არაორდინარული პოლიტიკური ვითარებაა. იანვრის მიწურულს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ოპოზიციის მიტინგზე ეროვნული ასამბლეის ხელმძღვანელმა ხუან გუაიდომ, ყველასათვის მოულოდნელად, პრეზიდენტი ნიკოლას მადურო არალეგიტიმურად ცნო და ქვეყნის მმართველად საკუთარი თავი გამოაცხადა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ყოველგვარი ნორმების დარღვევით (როგორც თვით ამერიკელი პოლიტოლგებიც კი მიიჩნევენ), უმალ აღიარა გუაიდო ლეგიტიმურად. ამის შემდეგ კარაკასის ქუჩებში მადუროს მხარდამჭერი მიტინგიც გაიმართა. მოქმედი პრეზიდენტის და ოპოზიციონერებს შორის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა ორივე მხრიდან.

ქუჩის აქციებისა და არეულობის განეიტრალება მადურომ მოახერხა. თუმცა აშშ ჯიუტად აცხადებს პრეზიდენტად გუაიდოს. მიუხედავად ამისა, ვენესუელის მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს ნიკოლას მადუროს უჭერს. ქვეყნის შეიარაღებული ძალები მოქმედი პრეზიდენტის ერთგული დარჩა, რაც თავდაცვის მინისტრმაც დაადასტურა. მადურომ შემოიარა საჯარისო ნაწილები, სიტყვით მიმართა და მათთან ერთად მსვლელობაც მოაწყო. ამით ოპოზიციას ნათლად დაანახა, რომ არმია მის მხარეს დგას.

ქუჩის აქციებმა აქტუალობა დაკარგა, რაც გასულ კვირას ოპოზიციის მიტინგზეც გამოჩნდა — გაცილებით ნაკლები ხალხი მივიდა, ვიდრე მადუროს მხარდასაჭერად. ორივე მიტინგი მშვიდობიანად დასრულდა, რადგან მადურო ცდილობს, თავიდან აიცილოს შიდა სამოქალაქო დაპირისპირება. გუადვიდომ მხარდამჭერებს შესჩივლა, მავიწროებენ, სამართალდამცავები ახლაც ჩემს სახლთან იმყოფებიანო. თავისთავად, მომიტინგეები მსვლელობით მისი სახლისკენ გაემართნენ, თუმცა იქ არავინ დახვედრიათ, არც პოლიციელები და არც სამხედროები. უცხოელმა ჟურნალისტებმა გუაიდო „მოუხელთებელ ჯოს“ შეადარეს, რომელსაც არ იჭერდნენ, რადგან ის არავის სჭირდებოდა. შემდეგი მიტინგი გუაიდომ 12 თებერვალს დანიშნა, რომელსაც წინასწარ ისტორიული უწოდა.

ევროკავშირის ქვეყნებმა აშშ-ის კარნახით თავდაპირველად უპირობოდ აღიარეს გუაიდო პრეზიდენტად. თუმცა იტალიის ხელისუფლებამ, კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნია რომელიმე ქვეყნის შინაურ საქმეებში უხეში ჩარევა. სავარაუდოდ, ამიტომაც შეცვალეს ტონი ევროკავშირში და მადუროს (რომელიც კვირას ამოიწურა) რიგგარეშე საპრეზიდენტოო არჩევნების დასანიშნად ერთკვირიანი ვადა მისცეს. მადურომ უგულებელყო მათი წინადადება. „…არანაირ ულტიმატუმს არ მივიღებთ. ეს იმის ტოლფასია, ჩვენ დავემუქროთ, ერთ კვირაში აღიარონ კატალონიის დამოუკიდებლობა, თორემ ზომებს მივიღებთ. ულტიმატუმის ენით საუბარი ჩვენთვის მიუღებელიაო“, — განაცხადა მან ტელევიზიით გამოსვლისას. იგი თანახმაა, თუ ხალხი მოითხოვს, დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რაც ოპოზიციას ფეხქვეშ ნიადაგს გამოაცლის.

აშშ-ის ხელისუფლება გუაიდოს აქტიურად უჭერს მხარს. დააყადაღეს ვენესუელის საბანკო ანგარიშები, დროებით შეწყვიტეს ნავთობის შესყიდვა, რომელიც ქვეყნის ერთადერთი სტრატეგიული პროდუქტია. საბანკო ანგარიშები მხოლოდ გუაიდოს გაპრეზიდენტების შემთხვევაში იქნება ხელმისაწვდომი. ამასთან, ვენესუელაში ნავთობის მოპოვებაზე სრული მონოპოლია სურთ.

„…თუ აშშ დაიწყებს ნავთობის მოპოვებას და რეალიზაციას, ვენესუელის ხალხისთვის უკეთესი იქნება“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონმა.

ვენესუელაში ხელისუფლების ფაქტობრივი დამხობის მიზეზად აშშ-ის ადმინისტრაცია ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ვითარებას ასახელებს.

ეკონომიკური სანქციების გარდა, აშშ სამხედრო მოქმედებების დაწყებას განიხილავს. ამის შესახებ, თავდაპირველად, ცნობილი ჯონ ბოლტონის უბის წიგნაკის ჩანაწერებიდან გახდა. ჟურნალისტებმა წაიკითხეს: „კოლუმბიაში 5 ათასი ჯარისკაცი“. ვენესუელაში სამხედრო მოქმედებების დაწყების შესაძლებლობა ორი დღის წინ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაადასტურა. ამერიკელი გენერლები უკვე იმყოფებოდნენ კოლუმბიაში, ვენესუელის საზღვართან, დაათვალიერეს ჯარის გადასხმის შესაძლო მარშრუტი. ამიტომაც ემზადებიან ვენესუელაში ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად. მოქმედი 900 ათასი ჯარისკაცის გარდა, ქვეყანაში სახალხო ლაშქარი იქმნება, რომლებიც შეიარაღდებიან. სამხედრო წვრთნები მადურომ 12 თებერვალს დანიშნა.

ექსპერტების ვარაუდით, ვენესუელაში სამხედრო ოპერაციის ჩატარება მარტივი არ იქნება. კოლუმბიაში მხოლოდ შარშან გაჭირვებით შეძლო ხელისუფლებამ შეიარაღებულ ოპოზიციასთან დროებითი ზავის გაფორმება. ამასთან, მოსახლეობის ნაწილი აშშ-ს მოწყალე თვალით ნამდვილად არ უყურებს. „…აშშ-ს არანაირი საშუალება არ აქვს, ჩაატაროს წარმატებული სამხედრო ოპერაცია. ვენესუელაში, ბუნებრივი რელიეფიდან გამომდინარე, საკმაოდ ძნელია ბრაზილიისა და კოლუმბიის მხრიდან დესანტის ვენესუელაში გადასროლა. საამისოდ დიდი რესურსები და ძალებია საჭირო, რაც აშშ-ს დღეს არა აქვს, რადგან ძირითადი ძალა ჩინეთისკენ აქვს გადაყვანილი. შეიძლება მადუროს გენერალიტეტიდან ერთი-ორი მოისყიდონ, ძირითადი ბირთვი კარგად აცნობიერებს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ისინი არავის დასჭირდება, მოისვრიან, ამიტომ მხარს მადუროს დაუჭერენ.

კუბა, სადაც კარგად იციან, როგორ ებრძოლონ აშშ-ს, მათ შორის დაზვერვის ცენტრალურ ბიუროს, მხარს ვენესუელას უჭერს. მადუროს დასაკარგი არაფერი აქვს, რადგან კუთხეშია მიმწყვდეული, ამიტომ ბოლომდე იბრძოლებს. ორხელისუფლებიანობა ვენესუელაში დიდხანს არ გაგრძელდება“, — აცხადებს ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი.

ამერიკელი მიმომხილველის ტიერი მეისას აზრით, აშშ-ს სულაც არ აინტერესებს ვენესუელაში ხალხის შიმშილი. მისი თქმით, კარიბის ზღვის ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურების განადგურება იწყება, რაც შემდეგ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გაგრძელდება. ამასთან, აშშ ცდილობს, გაწყვიტოს კუბა-ვენესუელის კავშირი.

მოვლენების ასეთი განვითარების გამო დასავლელი პოლიტოლოგები გაოცებას ვერ მალავენ. ავღანეთში შეჭრის მიზეზი ნიუ-იორკში „ტყუპ“ ცათამბჯენებზე შეტევა გახდა, თუმცა თვითმფრინავებს, რომლებიც შენობებს დაეჯახნენ, არაბები მართავდნენ. ერაყზე შეტევისას ვითომ იქ არსებული ქიმიური იარაღი იყო მიზეზი. ამჯერად ხუან გუაიდო მხოლოდ ვიღაცის ხელდასხმით აღიარეს პრეზიდენტად. ამიტომაც ვენესუელაში არეულობა „თვითმარქვიას რევოლუციად“ მონათლეს დასავლელმა ჟურნალისტებმა.

ხუან გუაიდოს არსებობა არათუ მსოფლიომ, ვენესუელელთა უდიდესმა ნაწილმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინ არ იცოდა. იგი 35 წლის მეტისია, განათლებით სამთო ინჟინერი. როგორც ამბობენ, სერბეთში „ოტპორის“ (ჩვენი „კმარას“ წინამორბედი) რიგებში მყოფი არეულობებში მონაწილეობდა. ამბობენ, სისხლშიც არის გასვრილი და სასწრაფოდ მოუხდა ევროპის დატოვებაო. ასეთ პიროვნებაზე დადეს ფსონი აშშ-ში. რაც მთავარია, დონალდ ტრამპმა დაარღვია თავისი დანაპირები, როდესაც ორი წლის წინ გაპრეზიდენტებისას განაცხადა, აშშ აღარ ჩაერევა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებშიო.

ამასობაში აშშ—ის ხელისუფლებამ ოფიციალურად აცნობა რუსეთს, რომ გადიან მცირე და საშუალო მანძილის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებიდან (შეგახსენებთ, აღნიშნული ხელშეკრულება 1987 წლის დეკემბერში გაფორმდა, რომელსაც ხელი პრეზიდეტმა რონალდ რეიგანმა და საბჭოეთის ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა მოაწერეს). ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის ერთი შეხედვით მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ კიდევ შარშან მოსკოვში ვიზიტისას განაცხადა ჯონ ბოლტონმა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები ურჩევდნენ აშშ-ის მხარეს, არ გასულიყვნენ ხელშეკრულებიდან, მაგრამ ამერიკელებმა დასახულ მიზანს არ გადაუხვიეს. აღსანიშნავია, რომ აშშ-მა უკვე მეექვსე ხელშეკრულება თუ ორგანიზაცია დატოვა ტრამპის პრეზიდენტობისას. რუსეთმაც არ დაახანა და სარკისებურად უპასუხა. ამერიკული პრესა პანიკური შეშფოთებით აშუქებს ტრამპის გადაწყვეტილებას. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა დიდი შეცდომა უწოდა ხელშეკრულებიდან გასვლას.

როგორც ჩანს, ტრამპის გადაწყვეტილებებს არც აშშ-ის უახლესი მხარდამჭერები ემხრობიან. გასულ კვირას ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს კომპანია, რომელიც იმუშავებს გეგმაზე, გვერდი აუარონ ირანისთვის დაწესებულ სანქციებს, რათა ვაჭრობაში ხელი არ შეეშალოთ. ირანთან ანგარიშსწორება ევროთი განხორციელდება, რათა აშშ-ს არ ჰქონდეს საშუალება, დაბლოკოს ანგარიშები დოლარით ვაჭრობის შემთხვევაში. მთავარი ოფისი საფრანგეთში განთავსდება, ორგანიზაციას კი გერმანიის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს.

მსოფლიოში კი პოლიტიკური რყევები სულ უფრო მძაფრდება. ვნახოთ, გადარჩება „ხომალდი“ თუ ცეცხლის ალში გაეხვევა. არსებულ ვითარებაში პროგნოზებზე ფიქრიც კი უადგილოა.

გია ბურდული
551 71 27 07

ვაჟა ბერიძე:

ბატონო ბიძინა, გააერთიანეთ ქართველი ერი და მართეთ თქვენივე სამშობლო!

ზოგიერთებმა რომ არ დამწამონ რაიმე — პირადული ინტერესი, მსურს თავშივე განვაცხადო, რომ პირადული არ მამოძრავებს, არც მაჟორიტარობა და არც პროპორციულობა, არც პოზიციონერობა და არც ოპოზიციონერობა, არც რომელიმე პარტიის იდეოლოგი გახლავარ. ჩემი „პარტია“ სამშობლოა, ინტერესი კი ქართველი ერის გადარჩენაა! ჩემი ლოზუნგი (დღევანდელი გაგებით „სლოგანი“), არაერთგზის მითქვამს და ვამბობ: **საქართველო, ქართველი ერის სულიერი და მატერიალური სამკვიდროა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში და იგი მარადიული უნდა იყოს!**

განვლილ სამ ათეულ წელში ქართველი ერი დაეცა სულიერად და გაღატაკდა მატერიალურად. მავანთა ქუჩის ცრუ იდეებითა და დაპირებებით იკვებება. დაიმშა ერი და, ფიზიკური გადარჩენის მიზნით, მსოფლიოს ათეულობით ქვეყანას მიაშურა. სად არ ნახავთ დღეს ქართველს — ავსტრალიაში, აფრიკაში,

აზიაში, აშშ-ში და, რაღა თქმა უნდა, ე.წ. „ცივილიზებულ ევროპაში“. 4,5 მლნ ქართველიდან (1990 წ.) 2 მლნ კაცი სადღეისოდ გასულია, მარტო რუსეთში 1,15 მლნ ცხოვრობს (მ/შ 300 ათასი — მოსკოვსა და მის გარეუბნებში).

ბატონო ბიძინა, თბილისში თქვენს მიერ დაფინანსებული სამების ტაძრის აშენების, ასობით კულტურული ცენტრის რეკონსტრუქცია პრეზიდენტის სასახლის გარდა თბილისში სერიოზული რაიმე ეროვნული არ აშენებულა. აშენდა უამრავი საცხოვრებელი სახლი, რომელთა შეძენა მხოლოდ აღებული კრედიტებით თუ არის შესაძლებელი. აშენდა და გალამაზდა ქ. ბათუმი, მაგრამ იქ სხვა ქვეყნის ინტერესები ისე ჭარბობს და ბობოქრობს, რომ მომავალში დიდი ალბათობაა, საქმე ცუდად წარიმართოს... სავალალო მდგომარეობაშია ჯავახეთი, ქვემო ქართლი, რაჭა, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი; აღარაფერს ვამბობ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე. ქვეყნის სახელმწიფო ძირითადი ფონდი 5%-ს შეადგენს 1990 წელთან შედარები თ. ქართველი ერის ინტელექტუალური პოტენციალი განიცდის დეგრადაციას და მილევადია. ქვეყანაში კატასტროფული მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისი თ. ქვეყანაში ახლადშექმნილი 4 ოჯახიდან საშუალოდ 2 ინგრევა, ქ. თბილისში კი 4-დან 3 იშლება... თბილისი ქვეყნის თავკომბალა დასახლებულ ერთეულად იქცა. ჩაკვდა ბიზნესი. დღეს ყველაზე მომგებიანი და ხელსაყრელი ბიზნესი მიწით ვაჭრობაა: ქალაქის ცენტრში როგორმე იყიდო მიწის ნაკვეთი და მიჰყიდო უცხოელს საცხოვრებელი სახლებისა და ოფისების ასაშენებლად. უცხოელები კი აშენებულს მხოლოდ თავიანთივე მოდგმის ჯიშზე ჰყიდიან. მათ ჩადებული კაპიტალი არ ანაღვლებთ (არ ეჩქარებათ), რადგან მათ თავიანთი ქვეყნები აფინანსებენ. და, იყიდება საქართველო!!! ერთმა უცხო ჯიშის ადამიანმა აგინა და მიწასთან გაასწორა თავისივე ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი: ძველმა პრეზიდენტმა იქაურ მამრებს ქართველ ქალთან ბავშვის შექმნისა და გაჩენისათვის 7.000 აშშ დოლარი დაგვიწესა, აქედან 500 აშშ დოლარს ქალს ვუხდიდი, 6.500 დოლარი კი მე მრჩებოდა. ახალმა პრეზიდენტმა კი დაწესებული ნორმა გაგვინახევრა და 3.500 დოლარზე დაგვიყვანაო! ჩვენებურმა ქალმა თუ თავის ქმარს ან შვილებს ერთი შავგვრემანი შვილი შეაპარა, 500 დოლარით 2 თვეს დააპურებს თავის ოჯახს. მაგრამ ამ ბავშვში უცხო გენი როდის და რას იყივლებს, მხოლოდ უფალმა იცის! მისი თავგადაპარსული ნამდვილი ქმარი კი, მთელი დღე „ბირჟაზე“ „ნაცების“ და „ქოცების“ იდეოლოგიაზე მსჯელობს, ეკას საქმეს არჩევს, მერე რუსეთის „ოკუპანტობაზეც“ გაუსვამს ხაზს და დღის ბოლოს კაცობის სადღეგრძელოს დალევს. მისთვის უკვე უცხოა ფიზიკური შრომა და ზნეობა. დავაბინძურეთ აურა. დღეს 2–3 შვილის მამა ვაჟკაცობის მოტივით იგინება: ჩემი დედა! ეს სამწუხარო რეალობაა!

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აშკარად გამოიკვეთა ქართული საზოგადოების მენტალიტეტი — 1150 ათასი „ქოცების“ შემყურე და 750 ათასი „ნაცების“ გულშემატკივარი. დაიწყო მათ შორის დაუნდობელი ქიშპობა, თუ რომელი სჯობია! გაიხლიჩა საეკლესიო სისტემაც. საეკლესიო პირებმა საერო ასპარეზზე გადმოინაცვლეს. საერო პირებმა კი საეკლესიო პლატფორმაზე დაიწყეს მსჯელობა და ქილიკი — რატომ უკრაინის საპატრიარქოს არ ულოცავთ ავტოკეფალიის მიღებასო!!! ეს უზნეობის განდიდება, უცოდინარობის, ურწმუნოებისა და ყოველგვარი ულირსობის გამოვლენაა! 2008 წლის 3 მარტს (დედის დღეს) კინოს სახლში მოწამეთას მღვდელმა მამა გიორგიმ (ბასილაძე) თავისი წიგნის, „გაბრიელ ბერის დიადემა“ პრეზენტაციაზე, რომელსაც 600–700 ადამიანი ესწრებოდა, თქვა: „დღეს კურთხევაზე ვეახლე პატრიარქს. მან გულში ჩამიხუტა, კურთხევა მომცა და მითხრა: მამა გიორგი, დღეს საქართველოს შეწზე და ჩემზე დიდი წინასწარმეტყველი (ნათელმხილველი) არა ჰყავს“-ო. თვით მამა გიორგიმ, იმავე შეკრებაზე (პრეზენტაციაზე) 5 თვითა და 5 დღით ადრე გამოიცნო მოსალოდნელი 2008 წლის ომი რუსეთთან: „ომი იქნება!“; „კარგია, იგი 2–3 დღეზე მეტს არ გაგრძელდება“; „თაკარა სიცხეში გაშავებულ გვამებს ვხედავ“; „ეს იქნება აგვისტოშიო“. ღრმად ვარ დარწმუნებული, ასეთივე წინასწარმეტყველია ჩვენი უწმინდესი, რომელმაც ყველაზე კარგად იცის ყოველივე მომხდარის ავკარგიანობა. და, ნამდვილად უხერხულია, მას რჩევა მისცეს მაღალი იერარქიის იმ სასულიერო პირმა, რომელიც წყლის ბიზნესითა და ქორწილებში ღრეობითაა ძირითადად დაკავებული. ასეთი პიროვნება სამხედრო პირი რომ იყოს, სამხრეები (ჩინის მიუხედავად) თავზე უნდა გადაახიო. სასულიერო პირზე კი ამის თქმის მორალური უფლება არა მაქვს. საეკლესიო კუთხით, მოთმენა სჯობს! უფალი ასე გვასწავლის! მაგრამ საერო კუთხით — მოთმენა უკვე დანაშაულის ტოლფასია. გაიხრწნა ერი, დაიკარგა ადამიანებს შორის ჯანსაღი ურთიერთობა, უმეტესობა სძალავს და ატყუებს ერთმანეთს, დაიკარგა პატივისცემა და სიყვარული, სულისადმი თაყვანისცემა.

ერთი დიდი ფილოსოფოსი წერდა: **„ადამიანთა დიდი უმრავლესობის ინტელექტუალური განვითარება აუცილებლად მათი ყოველდღიური საქმიანობით განისაზღვრება. ადამიანს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მცირეოდენი მარტივი ოპერაციების შესრულებას ანდომებს, არა აქვს საშუალება, ავარჯიშოს თავისი გონება და იმდენად გონებაჩლუნგი და უვიცი ხდება, რამდენადაც ეს შესაძლებელია ისეთი ქმნილებისათვის, როგორიც ადამიანია. მისი უმოძრაო ცხოვრების ერთფეროვნება აზშობს მის სულიერ მხნეობას, უნარს უკარგავს მის სხეულს ხანგრძლივი და ინტენსიური მუშაობისთვის“**. ეს ფრაზები ზედმიწევნით მიესადაგება ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას. ამიტომ აღვნიშნე **მილევადი ინტელექტუალური პოტენციალი**. ეს მოვლენა დიდად დაეტყო საქართველოში ტრადიციულად არსებულ დაბალი დონის სამართლიანობას! სამარცხვინოა, თვეებისა და წლების განმავლობაში არ იქნა გამოძიებული დანაშაულები და დაზარალებული ადამიანები პარლამენტის წინ ინტენსიურ აქციებს აწყობდნენ.

ქვეყნის განვითარების მიზნით, გადამჭრელი და ქმედითი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს სოფლის მეურნეობის დარგი (მარტო ხვნა-თესვა არ კმარა), შესაქმნელია კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სისტემა, სრულყოფას საჭიროებს განათლების სისტემა (პირადად მე არ მგონია, სასარგებლო იყოს გამოცდების გაუქმება). მოსაფიქრებელი და შესაქმნელია ახალგაზრდებთან მუშაობის ეფექტური სამსახური (სამინისტრო, სააგენტო). დღეს ხელისუფლება ძალზე სათუთად უნდა მოეპყროს ახალგაზრდობასთან მუშაობის საქმეს. ახალგაზრდობა ქვეყნის ხვეულინდელი დღეა. ხშირად გაიგონებთ: „ქვეყანას შესანიშნავი ახალგაზრდა თაობა ჰყავს“, „მოდის შესანიშნავი ახალგაზრდობა“ და ა.შ. ნუ მოიტყუებს თავს ერი! ახალგაზრდობის 80% დღეს ფსიქიკურადს აშილილი და უიმედო მდგომარეობაშია, ფიქრებითა და ლოდინით დაღლილი, სულიერად დეგრადირებულია, მატერიალურად გაღატაკებული და უნუგეშო მდგომარეობაშია. მათ მიაჩნიათ, რომ მხოლოდ უცხოეთში სწავლით მიიღებს საჭირო განათლებას და დასაქმდება, რომ ჩვენთან შესაბამის განათლებას ვერ მიიღებს, რადგან კვალიფიციური კადრები ქვეყანას არა ჰყავს! სოკოებივით მომრავლებულმა უნივერსიტეტებმა საერთოდ სახელი გაუტეხეს უმაღლეს სახელმწიფო სასწავლებლებს. სტუდენტმა ოღონდ ფული შეიტანოს სასწავლებლის ანგარიშზე და რექტორისათვის სულ ერთია, იგი ისწავლის, გააცდენს, გამოცდას ჩააბარებს თუ არა!

დღევანდელი საქართველო მე-19 საუკუნის საქართველოს მაგონებს, დაცემულს და უნუგეშოს. ასეთივე მდგომარეობაში იყო გერმანია (პრუსია) მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მაგრამ მოვიდა ახალგაზრდა ლესინგი და ერს სულიერი საზრდო მისცა, მას მოჰყვნენ ცნობილი ფილოსოფოსები და უდიდესი რეფორმატორი ოტო ბისმარკი. სულიერმა სიდიადემ და ეკონომიკურმა რეფორმებმა გერმანია აღაზევა იმ დონემდე, რომ ქვეყანამ მოითხოვა ადგილი მზის ქვეშ!

საქართველოში რატომღაც დამკვიდრდა აზრი, რომ **პოლიტიკა ბინძური საქმეა!** პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, სიბრძნე, გონიერება, ცხოვრების შემეცნება, რეალური შესაძლებლობების საფუძველზე სწორი მიმართულებების განსაზღვრა, პრაქტიკული და პრინციპული ღონისძიებების გატარება და ეფექტის მიღებაა! დღეს ვინმეს მოტუყება გამორიცხულია. ამიტომ მმართველი ხელისუფალი უნდა იყოს მართალი, სიმართლის დედაბოძზე უნდა დააფუძნოს მშობლიური ერის ყოფიერება და ასევე, სამართლიანად უნდა წარმართოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაც! **ქვეყნის მართვა სულიერ ერთიანობას, სამართლიანობასა და ეფექტურ ეკონომიკურ ღონისძიებებს უნდა ეფუძნებოდეს.**

ბატონო ბიძინა, დღევანდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობას კარგი პირი არ უჩანს. თქვენს მიერ მოყვანილ კადრებში არ არის ერთსულოვნება, მათი უმეტესი ნაწილი არ ფიქრობს ქვეყნისა და ერის მომავალზე და მხოლოდ თავის მართლებით არის დაკავებული. არ გამოიკვეთა ლიდერი, რომელსაც ხალხი მოუსმენს. ირწმუნებს და გაჰყვება. ქვეყანა ლიდერმა უნდა მართოს, ამიტომაა, რომ გამოკვეთილად არ იგრძნობა სახელმწიფოს განვითარების იდეოლოგია. არ შედგა სახელმწიფოს განვითარების განხორციელებადი პროგრამა. მავანთა იდეა, კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ დამღუპველია. ის, რაც ხდება დღეს, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალების მცდელობაა. პროცესი შეიძლება დაიძაბოს და ტერორამდე მივიდეს საქმე. ქვეყანა სავსეა უცხოელი არაკეთილმოსურნე „სპეციალისტებით“. საქართველო ვეღარ გადაიტანს კიდევ ერთ ამბოხს, არეულობას, რევოლუციას. ამიტომ გთხოვთ, გააერთიანოთ ქართველი ერი (პირველ რიგში — სულიერად) და მართოთ ქვეყანა. თქვენთვის პრობლემა არ უნდა იყოს რეფორმატორთა გუნდის (30–50 კაცის შემადგენლობით) და საკონსულტაციო საბჭოს (20 კაცი) შექმნა და ქვეყნის დამოკრატიულად მართვა. ქვეყანაში ერთადერთი ძირითადი, მორალური და იურიდიული კანონი — **ხალხის კეთილდღეობა** უნდა იყოს. კეთილდღეობა კი სამშობლოში ლაღი და სიყვარულით გაჟღენთილი ცხოვრებაა და არა საფრანგეთში 650 საუკეთესო ქართველის გაყვანა-დასაქმება. საცოდავი საფრანგეთი, რომელიც ზანგებს შესცქერის „წინანდალში“, სიამოვნებით დაასახლებს თუნდაც 6.000 ქართველ ჭაბუკს!..

ბატონო ბიძინა,

საქართველოში სადღეისოდ არსებული უამრავი ყველა პრობლემა, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გადაჭრადია თუნდაც დღეს არსებული მილევადი ინტელექტუალური პოტენციალის ბაზაზე.

არაფერს გთხოვთ, გარდა ერთისა: გააერთიანე ქართველი ერი და მართე თქვენივე სამშობლო!

უფალმა დაგლოცოთ!

ქრისტესმიერი

სიყვარულით,

ვაჟა ბერიძე

ეკონომიკის დოქტორი,

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი

2019 წლის 3 თებერვალი



ვინ ჩაანაცვლებს ტრამპს: მილიარდერები ბრძოლაში ჩაებნენ

ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება

არც ისე დიდი ხნის წინ ზუსტად ორი წელი შესრულდა, რაც ტრამპი ამერიკის პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას შეუდგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თეთრ სახლში მას ზუსტად ამდენივე ხანს კიდევ მოუწევს ყოფნა. ასე რომ, პრეზიდენტის არჩევნები-2020 თითქმის კარს არის მომდგარი. და უკვე გამოჩნდნენ კიდეც ამ ბრძოლაში ჩაბმის მსურველები.

მილარდერ ბლუმბერგის შემდეგ საპრეზიდენტო კლუბს ხელთათმანი კიდევ ერთმა, მილიარდობით ქონების მფლობელმა ჰოვარდ შულცმა, კაფეების სახელგანთქმული მსოფლიო ქსელის მეპატრონემ ესროლა. შულცი თავის თავს „სიკვდილამდე დემოკრატს“ უწოდებს. მან ამერიკის 50-ივე შტატში წარადგინა თავისი კანდიდატურა და უკვე გეგმავს მოგზაურობას აიოვაში, ნიუ-ჰემფშირში, ნევადასა და სამხრეთ კაროლინაში – შტატებში, სადაც ტრადიციულად პირველი პრაიმერიზები იმართება.

„ნიუ-იორკ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ აპირებს „მთელი ქვეყანა შემოიაროს“. საქმე ის არის, რომ ახლა შულცი თავისი ახალი წიგნის რეკლამირებასა და გავრცელებას ეწევა.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, თეთრი სახლისკენ მიმავალი გზა შულცისთვის გაძნელებულია იმით, რომ ის... მილიარდერია. და აი, რატომ: თეთრ სახლში ტრამპის ყოფნით უკმაყოფილო ბევრი ამერიკელი უკვე დარწმუნდა, რომ ბიზნესში წარმატებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს წარმატებულ პრეზიდენტობას. ამას ადასტურებს სოციოლოგიური გამოკითხვები – ოვალური კაბინეტის ახლანდელი მეპატრონის რეიტინგი განუხრელად იკლებს და სულ უფრო იზრდება იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც 2020 წელს მისთვის ხმის მიცემას არ აპირებენ.

მიუხედავად ამისა, შულცი ამას ყურადღებას არ აქცევს და აცხადებს: „ჩვენი პოლიტიკური სისტემა დანგრეულია. დღესდღეობით საკმაოდ რთულია დაიცვა პოლიტიკური იდეოლოგია და შეინარჩუნო პასუხისმგებლობა ამერიკელი ხალხის წინაშე... რესპუბლიკელები, ისევე როგორც დემოკრატები, არ მიიჩნევენ თავს ულტრამემარჯვენეთა ან ულტრამემარცხენეთა ნაწილად. თვითონ სიტყვა „დამოუკიდებლობა“ ჩემთვის აუცილებელია, როგორც ხმის მიცემის ლოზუნგი“.

ამ დღეებში სატელევიზო პროგრამა „60 წუთში“ გამოსვლისა და თავისი წიგნის რეკლამირებისას შულცმა განაცხადა: „ტრამპს არ გააჩნია კვალიფიკაცია საამისოდ, რომ პრეზიდენტი იყოს“. და დასძინა, რომ „სერიოზულად ფიქრობს“ 2020 წლის საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობის მიღებას, ოღონდ როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი.

„ერთადერთი რამ მაღელვებს: ყველაფერი ვიღონო იმ ოჯახების დასახმარებლად, რომლებიც მხარდაჭერის გარეშე დარჩნენ, და აღვადგინო ოვალური კაბინეტის პატივი და ღირსება“, – აღნიშნა ბიზნესმენმა.

შესაძლებლობამ იმისა, რომ შულცი შესაძლოა თეთრი სახლის დამოუკიდებელი მაძიებელი გახდეს, დემოკრატთა გულისწყრომა გამოიწვია. მათ სერიოზულად და არცთუ უსაფუძვლოდ ეშინიათ, რომ დამოუკიდებელი კანდიდატის გამოჩენა ტრამპს მეორე ვადით არჩევაში დაეხმარება.

„სულ ორიოდე სიტყვა მინდა ვუთხრა ჰოვარდ შულცს, როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს. ამას ნუ იზამთ“, – ამბობს ტინა პავლოვსკი, ვაშინგტონის შტატში დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

ნიერა ტენდნეეს, ამერიკული პროგრესის ცენტრის პრეზიდენტისა და ჰილარი კლინტონის ყოფილი მრჩევლის თქმით, „თუ შულცი წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩაებმება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი პრაქტიკულად ტრამპს ხელახლა არჩევაში დაეხმარება“.

თავის მხრივ შულცმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც უკავშირდება მის სურვილს, გახდეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი. თუმცა ისინი უადგილოდ მიაჩნია: „ცხადია, მზად ვარ ცინიკოსთა ამგვარი კრიტიკისთვის, მაგრამ მათ არ ვეთანხმები. ჩემი აზრით, ეს ანტიამერიკულია. არ მსურს, არჩევნებზე სპოილერის ფუნქცია შევასრულო“.

შეკითხვაზე, აპირებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას არა როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, არამედ როგორც დემოკრატი, შულცმა უპასუხა:

„თუ დემოკრატი კანდიდატი ვიქნები, მომიწევს დავიცვა იდეები, რომლებისაც არ მჯერა. დემოკრატები მეტისმეტად გადაიხარნენ მარცხნივ.

როცა ვისმენ, რომ ხალხი გამოდის უფასო განათლებისა და ჯანდაცვისთვის, სამუშაო ადგილებისთვის, ჟრუანტელი მივლის. ეს ხომ დაემატება იმ 21 ტრილიონ დოლარზე მეტ ვალს, რომელიც უკვე გაგვაჩნია. რითი უნდა გავისტუმროთ იგი ისე, რომ ქვეყანა ბანკროტად არ იქცეს? ყოველივე ეს მახსენებს რაღაც უზარმაზარს, ისეთივეს, როგორიც ის კედელია, რომელზეც ტრამპი ოცნებობს. შეგვიძლია კი დავუშვათ ასეთი კედლის არსებობა და, ამავდროულად, შევინარჩუნოთ ამერიკელი ხალხის სიმპათია და ნდობა?“

ჰოვარდ შულცი დაიბადა ბრუკლინში, ნიუ-იორკის შტატში და თავისი იმპერიის შექმნა დაიწყო შვიდი პატარა მაღაზიით. იგი ცნობილია, როგორც „პროგრესული კორპორაციული ლიდერი“. მისმა კორპორაციამ საჯაროდ მხარი დაუჭირა აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ. მეტიც, კომპანიის თანამშრომელთა სადაზღვევო პაკეტი სქესის შეცვლის ოპერაციასაც კი ანაზღაურებს. თავად შულცი კი ხშირად ამბობს, რომ მსხვილმა ბიზნესმა უნდა მოძებნოს ბალანსი მოგებასა და სინდისს შორის, რომ უნდა არსებობდეს ბიზნესის პასუხისმგებლობა ისეთი სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად, როგორიცაა: სიღარიბე, უთანასწორობა, გარემოს დაბინძურება.

შულცი 65 წლისაა. მისი ქონება შეფასებულია 3,3 მილიარდ დოლარად. ის ერთ-ერთია იმ მრავალ მილიარდერს შორის, რომლებსაც

თეთრი სახლის პატრონობას უწინასწარმეტყველებენ. მათ შორის აღსანიშნავია თომ სტაიერი, რომელმაც ახლახან კი თქვა, საპრეზიდენტო ამბიციები არ გამაჩნიაო, მაგრამ თვალი თეთრ სახლზე უჭირავს. რამდენიმე დღის წინ მან განაცხადა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ტრამპის იმპიჩმენტის მისაღწევად. თეთრ სახლს მუშტრის თვალით უყურებს ნიუ-იორკის ყოფილი მერი მულტიმილიონერი მაიკლ ბლუმბერგიც, რომლის ქონება 50 მილიარდად არის შეფასებული. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თეთრი სახლისთვის ბრძოლაში გასამარჯვებლად თვითონ დააფინანსებს საარჩევნო კამპანიას. თუმცა უარსაც არ იტყვის „გარეშეთა მოწყალებაზეც“. საპრეზიდენტო მარათონი კი, როგორც ამბობენ, პირადად მას ერთი მილიარდი დოლარი დაუჯდება.

არჩევნები 2020 წლის 3 ნოემბერს არის დანიშნული. ჩვეულებისამებრ, პოლიტიკოსები თავიანთი ამბიციების შესახებ განაცხადებს წელიწად-ნახევრით ადრე აკეთებენ. ამჯერად წინასაარჩევნო სრბოლა უფრო ადრე დაიწყო. და თეთრი სახლისთვის ბრძოლაც ნელ-ნელა ჩაღდება. და არა მარტო მილიარდერებს შორის. უმაღლეს თანამდებობაზე თავიანთი პრეტენზიების შესახებ უკვე განაცხადეს ლიბერალმა კანდიდატებმაც, მაგალითად, სენატორმა ბერნი სანდერსმა, რომელიც, სხვათა შორის, შულცის მსგავსად ბრუკლინშია დაბადებული, და სენატორმა ელიზაბეტ უორენმა. ორივე მათგანი ამბობს, რომ სურთ დარტყმა მიაყენონ მილიარდერებს.

შულცის მცდელობა, მონაწილეობა მიიღოს თეთრი სახლისთვის ბრძოლაში, გვახსენებს ექსცენტრიკულ ტეხასელ მილიარდერ როს პეროს. იგი საკუთარი პასუხისმგებლობით და დიდი ფინანსური რესურსით მონაწილეობდა 1992 წლის საპრეზიდენტო მარათონში. მან ამომრჩეველთა ხმების 19 პროცენტი მიიღო. ამდენი დამოუკიდებელ კანდიდატს არ მიუღია თეოდორ რუზველტის შემდეგ . ეს იყო 1912 წელს. უნდა ითქვას, რომ პეროს ერთი ამომრჩევის ხმაც კი არ რგებია, მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში უზარმაზარი თანხა დახარჯა.

შულცი მიანიშნებს იმაზეც, რომ გელაპის კვლევების თანახმად, ამომრჩეველთა 42 პროცენტი საკუთარ თავს დამოუკიდებლად აცხადებს. და სწორედ მათზე კეთდება ფსონი. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, სინამდვილეში 10 პროცენტზე ოდნავ მეტია მათი რაოდენობა, რომლებიც მხარს არც დემოკრატებს უჭერენ და არც რესპუბლიკელებს. წინასაარჩევნო ბრძოლაში შულცი მრჩეველთა პატარა გუნდით ჩაება. მისი წევრია სტივ შმიდტიც, რომელიც გარდაცვლილი სენატორის, ჯონ მაკკეინის 2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიის სტრატეგი იყო.



შულცის წარმატება ან წარუმატებლობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ ვინ ეყოლება დემოკრატიულ პარტიას საპრეზიდენტო კანდიდატი. თუ ეს იქნება ჯოზეფ ბაიდენი, რომელიც ზომიერ კანდიდატად ფასდება, შულცის გზა თეთრი სახლისკენ მეტად გართულდება. შულცს, რომელსაც ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ხისტი პოზიციები აქვს, ეს მშვენივრად მოეხსენება: „თუ ამერიკელები აღმოჩნდებიან არჩევანის წინაშე – პრეზიდენტი ტრამპი თუ მეტისმეტად მემარცხენე პროგრესული დემოკრატი, ბევრი ხმას მისცემს ტრამპს და ამით უზრუნველყოფს მის ხელმეორედ არჩევას“. ამასთან დასძენს, რომ აუცილებელია, მსგავსი სიტუაცია თავიდან აიცილოს.

ასე რომ, ბრძოლაში ერთვებიან მილიარდერები.

ვნახოთ, რომელი მათგანი შეძლებს ტრამპის ჩამოგდებას.

მელორ სტურუა,
მინეაპოლისი

ელენა ბლავატსკაია:

„კაცობრიობა იყოფა ღვთითშთაგონებულ კაცებად და უმდაბლეს არსებებად“...

საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ბლავატსკაიაც, რერიხიც, ოშოც, აურობინდოც, ვივეკანანდაც, გაუტამაც, კონფუციც და ლაო–ძიც კი ადამიანის სრულყოფილების სხვადასხვა ეტაპებამდე მიყვანის პრაქტიკულ რჩევებსა და სწავლებას იძლეოდნენ. ზოგს ცოტა შორს მიჰყავდა, ზოგს უფრო მეტად, მაგრამ სრულყოფილებამდე მისაყვანად ყოველთვის სხვა გზა და სწავლება იყო საჭირო.

გასული საუკუნის ერთ-ერთმა გავლენიანმა ქალბატონმა ელენე ბლავატსკაიამ აღმოუჩინა მსოფლიოს ტიბეტი და დასავლური ინტელიგენცია “მოხიბლა” ოკულტური მეცნიერებებითა და აღმოსავლური ფილოსოფიით. ბლავატსკაიას ნამდვილი გვარია — ფონ განი. მისი მამა ეკუთვნოდა გან ფონ როტენშტერნ-განთა მაკლენბურგელი პრინცების მოდგმას. ბებიის ხაზით ბლავატსკაიას მოდგმა რიურიკოვიჩების სათავადოს უკავშირდება. მის დედას, რომანისტ ელენა ანდრიას ასული განს, ბესარიონ ბელინსკი “რუს ჟორჟ სანდს” უწოდებდა.

მომავალი “თანამედროვე იზიდა” დაიბადა ქ. ეკატერინოსლავში (დნეპროპეტროვსკი) 1831 წლის 30–31 ივლისის ღამეს. თავის ბავშვობის მოგონებებზე ის ცოტას წერდა: “ჩემი ბავშვობა? მასში, ერთის მხრივ, ბევრია ნებივრობა და ანცობა, მეორეს მხრივ კი სასჯელები და სისასტიკე. უსასრულო დაავადებები შვიდ-რვა წლამდე... მყავდა ორი გუვერნანტი — ფრანგი მადამ პენიე და მის ავგუსტა სოფია ჯეფრისი, გადაბერებული, გაუთხოვარი ქალი იორკშირიდან. რამდენიმე მომვლელი... მამის ჯარისკაცები ზრუნავდნენ ჩემზე. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი დედა რომ მოკვდა”.

ბლავატსკაიამ მიიღო ბრწყინვალე საშინაო განათლება. ჯერ კიდევ ბავშვობაში ისწავლა რამდენიმე ენა, სწავლობდა მუსიკას ლონდონსა და პარიზში, იყო კარგი მოჯირითე, კარგად ხატავდა. ყველა ეს უნარი მოგვიანებით მას თავის მოგზაურობებში გამოადგა: ის ატარებდა კონცერტებს ფორტეპიანოზე, მუშაობდა ცირკში, ამზადებდა საღებავებს და აკეთებდა ხელოვნურ ყვავილებს. ჯერ კიდევ ბავშვობაში ბლავატსკაია გამოირჩეოდა თავისი თანატოლებისგან. ის ხშირად ეუბნებოდა შინაურებს, რომ ხედავდა სხვადასხვა უცნაურ არსებებს, ესმოდა იდუმალი ზაზზალაკების ხმა. მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა დიდებულმა ინდუსმა, რომელსაც სხვები ვერ ამჩნევდნენ. იგივე ინდუსი, ბლავატსკაიას თქმით, მას სიზმრებშიც ეცხადებოდა. ინდუსს ის “მცველს” უწოდებდა და ამბობდა, რომ იხსნიდა მას ყოველგვარი უბედურებისგან. როგორც მოგვიანებით დაწერს ელენა პეტროვნა, ეს იყო მაჰატმა მორია, ერთ-ერთი მისი სულიერი მოძღვარი, რომელსაც 1852 წელს ლონდონის ჰაიდ-პარკში “ცოცხლად” შეხვდა.

შვედეთის ელჩის ქვრივმა კონსტანს ვახტმეისტერმა, ბლავატსკაიას გადმოცემითვე, დეტალურად აღწერა ამ საუბრის წვრილმანები, რომელშიც მოძღვარმა მას უთხრა, რომ “საქმე ითხოვს მის მონაწილეობას სამუშაოში, რომლის განხორციელებას გეგმავს”, ასევე ის, რომ “მას (ანუ ბლავატსკაიას) მოუწევს სამი წელი ტიბეტში ცხოვრება, რათა მოემზადოს ამ მნიშვნელოვანი მისიის განსახორციელებლად”.

მოგზაურობის ჩვევა ელენა ბლავატსკაიაში ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში ჩამოყალიბდა. სამსახურებრივი მდგომარეობის გამო საცხოვრებელ ადგილს ოჯახი ხშირად იცვლიდა. დედის სიკვდილის შემდეგ ელენას და მისი დების აღზრდა ბებიამ და ბაბუამ ითავეს. 18 წლის ასაკში ელენა პეტრეს ასული ერივანის გუბერნიის 40 წლის ვიცე-გუბერნატორ ნიკიფორ ბასილის ძე ბლავატსკიზე დაქორწინდა, თუმცა სამი თვის შემდეგ ბლავატსკაია ქმარს გაექცა. ორ თანხმლებ პირთან ერთად ბაბუამ ის მამასთან გააგზავნა, მაგრამ გოგონამ მათგან გაქცევაც შეძლო. ოდესიდან ბლავატსკაია ინგლისური იალქნიანი გემი “კომოდორით” ქერჩში გაემგზავრა, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში გადავიდა. თავის ქორწინებაზე ბლავატსკაია წერდა: “მე დავქორწინდი, რათა შური მეძია ჩემი გუვერნანტისთვის, და არ ვფიქრობდი იმაზე, რომ ვერ შევძლებდი ამ წინდობის დარღვევას, კარმა მუდმივად მომდევდა მე ჩემი შეცდომის გამო”. ქმრისგან გაქცევის შემდეგ დაიწყო ელენე ბლავატსკაიას მოგზაურობების ისტორია. მათი ქრონოლოგია ძნელი აღსადგენია, რადგან თავად ბლავატსკაია დღიურებს არ აწარმოებდა და მის გვერდით ახლობელთაგანაც არავინ იმყოფებოდა. თავისი ცხოვრების განმავლობაში ბლავატსკაიამ ორჯერ განახორციელა მოგზაურობა დედამიწის გარშემო. იყო ეგვიპტეშიც, ევროპაშიც, ტიბეტშიც, ინდოეთშიც და სამხრეთ ამერიკაშიც. 1873 წელს ის გახდა პირველი რუსი ქალი, რომელმაც მიიღო ამერიკის მოქალაქეობა. 1875 წლის 17 ნოემბერს ნიუ-იორკში ელენა პეტრეს ასულმა და პოლკოვნიკმა ჰენრი ოლკოტმა “თეოსოფიური საზოგადოება” დააფუძნეს. ბლავატსკაია უკვე დაბრუნდა ტიბეტიდან, სადაც, როგორც ის ამტკიცებდა, მაჰატმებისგან და ლამებისგან მიიღო კურთხევა მსოფლიოსთვის სულიერი სწავლებები გადაეცა.

1877 წელს ნიუ-იორკის ერთერთ გამომცელობაში ბლავატსკაიას პირველი მონუმენტური ნაშრომი “მხილებული ისიდა” გამოიცა, და პირველივე ტირაჟი (ათასი ეგზემპლარი) ორ დღეში გაიყიდა. წიგნმა სხვადასხვაგვარი შეფასება მიიღო. ნაშრომს მოწინააღმდეგეებმა “ნამუსრევთა დიდი საალაფო”, და “გადაგდებული ნაგავი” უწოდეს. „ნიუ–იორკ ტრიბუნე“ წერდა: “ბლავატსკაიას ცოდნა უხეში და გადაუმუშავებელია, ბრაჰმანიზმისა და ბუდიზმის მისი ძნელად გასაგები გადამღერება უფრო ვარაუდებს ეფუძნება, ვიდრე ავტორის ინფორმირებულობას”. მაგრამ თეოსოფიური საზოგადოება მაინც ფართოვდებოდა, 1882 წელს მისმა შტაბ-ბინამ ინდოეთში გადაინაცვლა. 1879 წელს ინდოეთში გამოვიდა ჟურნალ „თეოსოფი“-ის პირველი ნომერი. 1887 წელს ლონდონში დაიწყეს ჟურნალ „ლუციფერი“-ს- გამოცემა. ბლავატსკაიას სიკვდილის მომენტისთვის თეოსოფიური საზოგადოება უკვე სამოცი ათასამდე ადამიანს ითვლიდა. ეს ორგანიზაცია უდიდეს გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აზროვნებაზე. ორგანიზაციაში იყვნენ იმ დროის გამოჩენილი ადამიანები, გამომგონებელ თომას ედისონიდან დაწყებული პოეტ უილიამ იეიტისის ჩათვლით. ერთ-ერთი სადავო და წინააღმდეგობრივი იდეა ბლავატსკაიას შემოქმედებაში გახლავთ რასების ევოლუციური ციკლის კონცეფცია, რომლის ნაწილი გადმოცემულია “საიდუმლო დოქტრინის” მეორე ნაწილში. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ რასების თეორია “ბლავატსკაიადან” ისესხეს მესამე რეიხის იდეოლოგებმა. ამის შესახებ წერდნენ ამერიკელი ისტორიკოსები ჯეკსონ სპეილვოგელი და დევიდ რეიდლსი ნაშრომში “ჰიტლერის რასული იდეოლგია: შინაარსი და ოკულტური ფესვები”.

“საიდუმლო დოქტრინის” მეორე ტომში ბლავატსკაია წერდა: “კაცობრიობა იყოფა ღვთითშთაგონებულ კაცებად და უდაბლეს არსებებად“. თვით თეოსოფები ირწმუნებიან, რომ ბლავატსკაიას თავის ნაშრომებში მხედველობაში ჰქონდა არა ანთროპოლოგიური ტიპები, არამედ განვითარების საფეხურები, რომელსაც ადამიანთა სულები გადიან. თავისი ნამუშევრისადმი ყურადღება რომ მიეპყრო, ელენა ბლავატსკაია ხშირად ახდენდა საკუთრი ზეუნარების დემონსტრირებას: მისი ოთახის ჭერიდან ცვივოდა მეგობართა და მოძღვრის — კუტა ხუმის წერილები; საგნები, რომლებიც მას ხელში ეჭირა, უეცრად ქრებოდნენ, შემდეგ კი ჩნდებოდნენ სულ სხვა ადგილას.

უნარების შესამოწმებლად მას მიუგზავნეს კომისია. 1885 წელს, ლონდონის ფსიქიკურ მოვლენათა კვლევის საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ბლავატსკაია არის “ყველაზე განათლებული, მახვილგონიერი და საინტერესო მატყუარა, რომელიც ისტორიას ოდესმე სცნობია”. ბლავატსკაიას ბიძაშვილი სერგეი ვიტე მის შესახებ თავის მოგონებებში წერდა: “ჰყვებოდა რა არნახულ არაკებს და სიცრუეს, ის, როგორც ჩანს, თვითონაც დარწმუნებული იყო იმაში, რომ, რასაც ამბობდა, სიმართლე იყო, — ამიტომაც ვერ ვიტყვი, იყო თუ არა მასში რაიმე დემონური, თუმცა, არსებითად ის იყო უბოროტო, კეთილი ადამიანი”. ადამიანის „დაცემას“ „საიდუმლო დოქტრინაში“ ბლავატსკაია ასე განმარტავს: „... ადამიანმა მიიღო გონება. გონიერების ცეცხლი. ინტელექტი. ცოდნა. მაგრამ ნებისმიერი ამ თვისებათაგან შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც სასიკეთოდ, ასევე ბოროტებისათვის. დიდი ინტელექტი და ძალიან დიდი ცოდნა წარმოადგენს ორლესულ იარაღს ცხოვრებაში და იარაღს როგორც სიკეთისათვის, ასევე ბოროტებისათვის. გონების ფლობა ავალდებულებს ადამიანს გააზრებულად გააკეთოს არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის. მას შეუძლია აირჩიოს. გონება ადამიანში, სინამდვილეში, წარმოადგენს მის მაზიარებელს და ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, ადამიანს შეუძლია რეალურად გახდეს ღმერთის თანაშემოქმედი ან გამოიყენოს თავისი გონება ნებისმიერი ილუზორული მიზნის მისაღწევად ამ სამყაროში.

საიდუმლო დოქტრინაში ელენა ბლავატსკაია საინტერესო ანალიზს გვთავაზობს კარმის შესახებ. ჩვენ იძულებულნი ვართ ვიწვოდეთ ვნებათა, სურვილთა ცეცხლში, წაქეზებულნი ილუზიის მიერ და ჩვენ სულ უფრო და უფრო ვიძირებით ამ ილუზიაში. შექმნილ კარმას მივყავართ ტანჯვასთან და ტანჯვა გვაიძულებს, შევიცვალოთ, გავიხსენოთ ღმერთის შესახებ და მივყვეთ მის კანონს. ეს ომი გაგრძელდება იქამდე, სანამ შინაგანი და ღვთაებრივი ადამიანი არ გააწონასწორებს თავის გარე მიწიერ–ქვეცნობიერ ცხოველურ მეს თავის სულიერ არსთან. ამ დრომდე ამ ქვეცნობიერი ცხოველური მეს ბნელი და მძვინვარე ვნებები იქნებიან სამუდამო ბრძოლაში თავის მბრძანებელთან, ღვთაებრივ ადამიანთან. მაგრამ ოდესღაც ცხოველი იქნება მოთვინიერებული, რადგანაც მისი ბუნება იქნება შეცვლილი, და ისევ იქნება ორთა შორის ჰარმონიის მეფობა, როგორც ეს იყო „დაცემამდე“, როდესაც მოკვდავი ადამიანიც კი „იქმნებოდა“ სტიქიის საშუალებით და არა შობით“.

ელენა პეტრეს ასული ბლავატსკაია გარდაიცვალა 1891 წელს. მის ჯანმრთლობაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა მოწევამ — ის დღეში ორასამდე სიგარეტს ეწეოდა. სიკვდილის შემდეგ მისი გვამი დაწვეს, ხოლო ფერფლი სამ ნაწილად დაჰყვეს: ერთი ნაწილი დარჩა ლონდონში, მეორე — ნიუ-იორკში, ხოლო მესამე ადიარში.

მოამზადა
ქეთევან ზარნაძემ
599 52 60 30

„მინისქვეშა დიქტატორები“ თბილისის მეტროპოლიტენში?

თუ დემოკრატიას ვაშენებთ, რაც, განმარტების მიხედვით, ხალხის მმართველობას ნიშნავს, მაშინ დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთი ადამიანიც კი უნდა იყოს დაცული, მისი უფლებები აღიარებული და სიცოცხლე ხელუხლებელი.

როგორც აღმოჩნდა, სამწუხაროდ, თბილისის მეტროპოლიტენში ამ კუთხით უმძიმესი ვითარება ყოფილა. ამის შესახებ ქალბატონი ხათუნა ჩიტიშვილი გვამცნობს, რომელზე ზეწოლებიც მას შემდეგ დაწყებულა, რაც ის თბილისის მეტროპოლიტენის გაერთიანებული პროფკავშირებიდან დამოუკიდებელ პროფკავშირულ ორგანიზაციაში — „ერთობა-2013“ გადასულა.

ხათუნა ჩიტიშვილის, როგორც მოქალაქის და როგორც თანამშრომლის უფლებებს, ამ ქალბატონიოს თქმით, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა უხეშად არღვევს.

საკითხავია, რა ხდება თბილისის მეტროპოლიტენში?! ფაშისტური დიქტატურა მყარდება? ადამიანს ხმის ამოღების უფლება არ აქვს თუ ქალის პატივისცემა დაკარგეს, ერთ კაფანდარა ქალს მამაკაცები რომ დაუპირისპირდნენ?

ბევრი რომ არ გავაგრძელო, თავად ქალბატონ ხათუნას მოუსმინეთ და ცხადად დაინახავთ, რა რეპრესიების მსხვერპლია ადამიანი თბილისის მეტროპოლიტენში.

ხათუნა ჩიტიშვილი, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მოძრაობის სამსახურის ცენტრალური საგუშაგოს მორიგე:

— ამდენი უსამართლობის ატანა ძნელია და მინდა სამზეოზე გამოვიტანო ის მძიმე მდგომარეობა, რაც ხდება თბილისის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ რგოლში.

სიტუაციის შესახებ სრული ინფორმაცია მაქვს, რადგან კარგა ხანს ვიყავი მეტროს პროფკავშირების კომიტეტის წევრი და კომიტეტის გამგეობის წევრიც — მთელი 12 წელიწადი.

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ პროფკავშირულ ორგანიზაციაში არავის რეკომენდაციით არ შევსულვარ.

ჯერ კიდევ პატარა გოგო ვიყავი, ფერმაში ვმუშაობდი, ფერმის პროფკავშირულ ორგანიზაციაში ვირიცხებოდი და კარგად ვიცი პროფკავშირული საქმიანობის ანი-ბანი.

ასევე მშვენივრად ვუწყი, თბილისის მეტროპოლიტენის მოძრაობის სამსახურის პროფკავშირის თავმჯდომარე რომეო ჩუთლაშვილი და მისი მოადგილე ემზარ გოგაძე სამსახურებრივად რომ დაწინაურდნენ, პროფკავშირული მოძრაობის წესდების მიხედვით, პროფკავშირების გამგეობაში რომ აღარ უნდა იყვნენ. მაგრამ ისინი ისევ იღებენ ხელფასებს პროფკავშირებიდან და თანამშრომლებზე ზეწოლით თავიანთ მიზნებსაც ახორციელებენ.

ამის შესახებ გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელს, ბატონ ირაკლი პეტრიაშვილსაც ვუთხარი პირადი შეხვედრისას. ისიც დავძინე, თუ როგორი შეურაცხყოფა მომაყენა რამდენიმეჯერ ემზარ გოგაძემ.

დიდი ყურადღებით მომისმინა ირაკლი პეტრიაშვილის მოადგილე ლავრენტი ალანიამაც, მაგრამ რა, რეაგირება არ ყოფილა. მეტიც, პროფკავშირების წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ბატონები ჩუთლაშვილი და გოგაძე თანამდებობრივად დაწინაურების შემდეგაც იყვნენ გამგეობაში და იქაც იღებდნენ ხელფასებს, მაგრამ ყური არავინ გვათხოვა.

შეიძლება, ბატონმა ირაკლიმ არ იცის, რომ გაერთიანებული პროფკავშირების არჩევნებისას, ჩუთლაშვილი და მეტროპოლიტენის პროფკავშირების თავმჯდომარე ბესიკ ხარატიშვილი თავგამოდებული უჭერდნენ მხარს თავად პეტრიაშვილის მოწინააღმდეგე დავით ოქიტაშვილს არჩევნებში. მერე, როცა ოქიტაშვილმა კანდიდატურა მოხსნა, მე კი ვნახე, მაგრამ ბატონი ირაკლი პეტრიაშვილისთვისაც საინტერესო იქნებოდა ხარატიშვილისა და ჩუთლაშვილის გამტკნარებულ-გაოგნებული სახეების დანახვა ოქიტაშვილის უკანდახევის გამო.

მოგეხსენებათ, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას სამი პროფკავშირული ორგანიზაცია აქვს. მათგან ყველაზე აქტიური გახლავთ „ერთობა-2013“. ამ ორგანიზაციის ინიციატივით, მუშათა მოთხოვნების საფუძველზე, სამართლებრივი გზის გავლის მერე გაჩერდა მეტროს მუშაობა. ადმინისტრაციამ მაშინ გაფიცულებს განუცხადა: ხელფასებს მხოლოდ მემანქანეებს მოგიმატებთო. „ერთობა-2013“ არ დათანხმდა ამას, რადგან მეტროში სხვა სამსახურების თანამშრომლებსაც ჰქონდათ პრეტენზიები.

ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ერთმანეთის გარეშე მუშაობა შეუძლებელია და ღალატი გამორიცხული ამბავია.

სწორედ იმ ხანებში გამოვედი მეტროს გაერთიანებული პროფკავშირებიდან და გადავედი „ერთობა-2013“-ში. ეს გახდა შემდეგ ჩემი დევნის მიზეზი — თითქოსდა მე ვწევდი აგიტაციას თანამშრომლებში: დატოვეთ გაერთიანებული პროფკავშირები და „ერთობა-2013“ შემოუერთდითო. ამის გამო გოგაძე-ჩუთლაშვილმა დამიწყეს, ასე ვთქვათ, „საქმის გარჩევა“. ემზარ გოგაძემ პირდაპირ დამწამა ცილი, თითქოს მე გენინსპექციასთან ვთანამშრომლობდი და სცადა კოლეგებთან ჩემი ავტორიტეტის შელახვა.

— დიდი ხანია ასე გრძელდება?

— სიტუაცია გამწვავდა გასული წლის მაის-ივნისში. ივლისის თვეში შპს თბილისის მეტროპოლიტენის გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელობამ საერთო კრება მოიწვია. კრება სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რადგან მეტროპოლიტენს ოთხი ცვლა ემსახურება და ოთხივე მათგანთან თათბირს, ცხადია, სამი დღე დასჭირდა. კრების მთელი არსი სამი დღის განმავლობაში ჩემი ლანძღვა-გინება იყო. ამ „კამპანიას“ ხელმძღვანელობდა მეტროპოლიტენის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ზემოთნახსნები ბატონი ბესიკ ხარატიშვილი. მას მხარს უბამდნენ ჩვენი დარგის პროფკავშირული მოძრაობის თავმჯდომარე რომეო ჩუთლაშვილი და ემზარ გოგაძე.

ემზარ გოგაძემ კონტროლიორი მზია ბაქრაძე დაიბარა მოძრაობის სამსახურის ადმინისტრაციაში საქმე გაურჩია — თუ რატომ გავიდა თავისი „ძმაკაცების“ პროფკავშირებიდან.

ასევე, „300 არაგველის“ მეტროს თანამშრომელი რიტა სვანიძე თავისი სამუშაო დღის პერიოდში დაიბარა და შეურაცხყო. ასაკოვანი ქალი ატირა და მის ხელწერას თითქმის ექსპერტიზა ჩაუტარა.

რასთან გვაქვს საქმე, მკითხველმა განსაჯოს!..

გოგაძემ, ასევე, ერთ-ერთ თანამშრომელს ახნა-განმარტება სამსახურის უფროსის სახელზე კი არა, თავის სახელზე დააწერინა. ეს არის კაცი, რომელიც ქალებთან დაპირისპირებით ამაყობს და ერთგულებას უმტკიცებს თავის „საძმაკაცო“ პროფკავშირებს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისევ თვითონ გაუთხრის ძირს მაგათ.

ყველაფერი, რაც აქ აღვნიშნე, კარგად იციან სატრანსპორტო კომპანიის კომპეტენტურმა პირებმა, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ბესიკ ხარატიშვილმა თანამშრომლებთან ისიც კი თქვა, რომ მის ანგარიშზე უკვე 70 000 ლარი იყო დაგროვილი და დასძინა: ცილს მწამებენ, თითქოსდა ჩემს შვილს ქორწილი გერმანიაში გადავუხადე, სადაც თამადა რომეო ჩუთლაშვილი იყოო. არადა, თუ კუდი არ ეწვის, რატომ თქვა თვითონ? სანამ თვითონ არ იტყოდა, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

არადა, როგორც წესი, პროფკავშირის ანარიცხებიდან დაგროვილი თანხა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს და არა ქორწილების გადახდას.

თავად ხარატიშვილი ნეპოტიზმის ჭაობში ცურავს. მისი ერთი ძმა მემანქანეა, მეორე ძმა ენერგიის სამსახურშია დასაქმებული, მეუღლეც აქ მუშაობს, და ბუღალტერიაში და ცხოვრობენ არხეინად.

იგივე სიტუაციაა რომეო ჩუთლაშვილთან დაკავშირებითაც. თავად პროფკავშირების ხელმძღვანელი ბრძანდება, მისი ძმა ხაზის უფროსი გახლავთ, კიდევ ერთი ძმა ღამის მრეცხავებში, მეოთხე კადრი მისი 19 წლის შვილიშვილია და მეხუთე ჩუთლაშვილის ცოლის დის შვილი და ა.შ.

ამ ადამიანებს თანამშრომლები პირდაპირ ტერორში ჰყავთ.

„ერთობა-2013“-ის გაფიცვის დროს ერთ-ერთ ტელევიზიას ინტერვიუ მივეცი და ვთქვი, რომ ზოგიერთი სადგურის უფროსი თანამშრომლებს ბლოკავდა, აქციაზე არ მისულიყვნენ, თუმცა არ დამიკონკრეტებია, რომელი სადგურის უფროსები და ვინ იყვნენ ეს ადამიანები.

ამას გარდა, პირდაპირ ვიტყვი, ემზარ გოგაძეს ჰყავს თავისი სამეგორბო, რომელთაც რატომღაც ყველაფერი ეპატიებათ.

— თქვენ რა იცით ამის შესახებ?

— მე, როგორც რეზერვის ჯგუფის თანამშრომელს, სხვადასხვა სადგურებზე მიწევს მუშაობა. ერთ დღეს ჩემთან შემოვიდა სადგურის უფროსი მალხაზ ქარსელაძე, რომელიც ადრე ჩამოაქვეითეს და მერე რატომღაც ისევ დააბრუნა გოგაძემ.

როცა სადგურ ვარკეთილის მეტროში ვმორიგეობდი, იქ გამირჩია საქმე სადგურის უფროსმა მალხაზ ქარსელაძემ: ტელევიზიისთვის გითქვამს, თითქოს მე თანამშრომლებს აქციაზე მისვლას ვუკრძალავდიო.

ეს ის ადამიანია, რომელიც ერთ ხანს სადგურის უფროსო-

ბიდან ჩამოაქვეითეს და ცენტრალურ მორიგედ მუშაობისას თითქმის ყოველთვის მთვრალი მხვდებოდა.

იქ მუშაობის დროს, როცა არც სადგურის გაცნობის ინსტრუქტაჟი ჩაუტარებია, არც ხელი მოუწერინებია ჟურნალზე არაერთხელ. მალხაზ ქარსელაძე რატომღაც დღეს ისევ სადგურის უფროსია... ეს არის სასტიკი დანაშაული და ამაზე არავის რეაგირება არ ჰქონია. იმედი მაქვს, ახლა, საჯაროდ, გაზეთის საშუალებით, მაინც მოახდენენ ამ ფაქტზე რეაგირებას ისინი, ვისაც ეს ხელეწიფება.

მალხაზ ქარსელაძისნაირი წარსულის და აწმყოს ადამიანი მე, მორალს, მგონი, არ უნდა მიკითხავდეს.

ამ ხალხს, ვისზეც ზემოთ გესაუბრეთ, ყველას აქვს ემზარ გოგაძის იმედი. მათ უწესო ქმედებებს გოგაძე თამადობს.

მიკვირს: შეიძლება სატრანსპორტო კომპანიაში 12 წლის განამვლობაში სულ ერთი და იგივე ადამიანი იღებდეს ტენდერში მონაწილეობას და იმარჯვებდეს? მაინტერესებს, რატომ დუმს გაერთიანებული პროფკავშირები, იმიტომ ხომ არა, რომ ხელი ხელს ბანს და ორივე პირს?!

— რა ტენდერებზე საუბრობთ?

— ზემოთაც ვახსენე, რომეო ჩუთლაშვილი, რომელიც გახლავთ ხელოვანი ადამიანი.

იგი პროფესიით მსახიობია. როგორც წესი, სახალწლოდ ზეიმი ტარდება მეტროპოლიტენში. ამ პერიოდში ცხადდება ტენდერი, რომელშიც დამოუკიდებელი სამსახიობო ჯგუფები მონაწილეობენ და წარმოიდგინეთ, ყველა წელიწადს ტენდერს რომეო ჩუთლაშვილი იგებს თავისი მოწვეული მსახიობებით.

არც კურიოზები გვაკლია.

2017 წლის საახალწლო ტენდერში სხვა ორგანიზაციამ გაიმარჯვა, მაგრამ ტენდერი გააუქმეს. მერე ხელახლა გამოაცხადეს და ჩუთლაშვილის საპატივცემულოდ, საახალწლო ზეიმი თებერვლის თვეში, 5 თებერვალს ჩაატარეს.

ჯანდაბას, ჩაატარონ ზეიმი აღმოსავლური კალენდრით, მაგრამ ნეპოტიზმი მაინც ყველაზე მძიმე პრობლემად მიმაჩნია და ამაზე ვერ გავჩუმდები.

არ ვიცი, სასაცილოდ ჩავთვალო თუ სატირლად, ჩუთლაშვილმა, 2018 წელს, მოძრაობის სამსახურის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარედ რომ გასულიყო, საკუთარი თავის არჩევნები დილის 9 საათზე ჩაატარა.

აი, ამ კაცმა დამირეკა და მითხრა: შენს საქციელს საზღვარი არ აქვსო.

მინდა მივმართო ბატონ რომეოს: ბატონო რომეო, რომელ საქციელზე ლაპარაკობთ? პროფკავშირისა და ზოგადად, ხალხის წინაშეც მართალი ვარ და კისერზე არავის ცოდვა არ მაწევს...

ვე ადამიანი იღებდეს ტენდერში მონაწილეობას და იმარჯვებდეს? მაინტერესებს, რატომ დუმს გაერთიანებული პროფკავშირები, იმიტომ ხომ არა, რომ ხელი ხელს ბანს და ორივე პირს?!

— რა ტენდერებზე საუბრობთ?

— ზემოთაც ვახსენე, რომეო ჩუთლაშვილი, რომელიც გახლავთ ხელოვანი ადამიანი.

იგი პროფესიით მსახიობია. როგორც წესი, სახალწლოდ ზეიმი ტარდება მეტროპოლიტენში. ამ პერიოდში ცხადდება ტენდერი, რომელშიც დამოუკიდებელი სამსახიობო ჯგუფები მონაწილეობენ და წარმოიდგინეთ, ყველა წელიწადს ტენდერს რომეო ჩუთლაშვილი იგებს თავისი მოწვეული მსახიობებით.

არც კურიოზები გვაკლია.

2017 წლის საახალწლო ტენდერში სხვა ორგანიზაციამ გაიმარჯვა, მაგრამ ტენდერი გააუქმეს. მერე ხელახლა გამოაცხადეს და ჩუთლაშვილის საპატივცემულოდ, საახალწლო ზეიმი თებერვლის თვეში, 5 თებერვალს ჩაატარეს.

ჯანდაბას, ჩაატარონ ზეიმი აღმოსავლური კალენდრით, მაგრამ ნეპოტიზმი მაინც ყველაზე მძიმე პრობლემად მიმაჩნია და ამაზე ვერ გავჩუმდები.

არ ვიცი, სასაცილოდ ჩავთვალო თუ სატირლად, ჩუთლაშვილმა, 2018 წელს, მოძრაობის სამსახურის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარედ რომ გასულიყო, საკუთარი თავის არჩევნები დილის 9 საათზე ჩაატარა.

აი, ამ კაცმა დამირეკა და მითხრა: შენს საქციელს საზღვარი არ აქვსო.

მინდა მივმართო ბატონ რომეოს: ბატონო რომეო, რომელ საქციელზე ლაპარაკობთ? პროფკავშირისა და ზოგადად, ხალხის წინაშეც მართალი ვარ და კისერზე არავის ცოდვა არ მაწევს...

მეტიც, ღამით, როცა მუშები გვირაბებში მუშაობენ ხარვეზების გამოსასწორებლად, მაშინ ხდება სადგურების ე.წ. რეცხვა. ამ პროცესს ხელმძღვანელობს სწორედ რომეო ჩუთლაშვილი და იგი სადგურის თანამშრომლებზე, რომლებიც „ერთობა-2013" შეუერთდნენ, რეპრესიებს ახორციელებს — ერთ მრეცხავს აგზავნის ობიექტზე, რის გამოც იმ ერთ დამლაგებელს 6000 კვ.მ რეცხვა მარტოს უწევს. ეს ტიტანური შრომაა და ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ ჩუთლაშვილი გაბრაზებულია — რატომ გადახვედით „ერთობა-2013"-შიო.

„ერთობა-2013" დღეს ხელმძღვანელობს შესანიშნავი კაცი, ბატონი რატი კაპანაძე, რომელიც ვაჟკაცურად უწევს წინააღმდეგობას ნეპოტიზმში და ყალთაბანდობაში ჩაძირულ მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას, თუმცა ვამჩნევთ იმასაც, რომ ჩასაფრებული არიან, როგორმე კვანტი გამოსდონ რატი კაპანაძეს და ამასთანავე, დამსაჯონ მე, რათა სამსახურიდან წამოვიდე იძულებით. მიმდინარეობს ჩუმი და მიზანდასახული ზეწოლა ჩემზე. ღიად ამას ვერ ახერხებენ, რადგან სამსახურის უფროსი, ბატონი მიხეილ კილასონია სიმართლის მხარეზეა, პროფესიონალი და კეთილსინდისიერი ადამიანია და უკანონობას არ ჩაიდენს. კილასონია უკანონობას არ ჩაიდენს, მაგრამ სანამდე უნდა ვიყო მუდმივი სამიზნე და სანამდე უნდა ვიმუშაო დაძაბულ პირობებში? მე ძველი თანამშრომელი ვარ, ჩემს საქმეს კეთილსინდისიერად ვასრულებ და ვიცი ჩემი საქმე. სამსახურს ვერ დავკარგავ, არადა აშკარა ზეწოლის მსხვერპლი ვარ მე და არა მარტო მე.

აუცილებლად უნდა ჩამოქვეითდეს ემზარ გოგაძე, პასუხი აგოს ქარსელაძემ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობისთვის, ირაკლი პეტრიაშვილმა თავის პირად კონტროლზე უნდა აიყვანოს, თუ როგორ გაიფლანგა პროფკავშირების თანხა გოგაძის სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობის დროს.

ყველაფერ ამაზე რეაგირება აუცილებლად უნდა მოხდეს, წინაღმდეგ შემთხვევაში, მე და ჩემი თანამოაზრეები ქალაქის მერს მივმართავთ ამ უკანონობების აღმოსაფხვრელად.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რედაქციისგან: „საერთო გაზეთის" რედაქცია მზადყოფნას გამოვთქვამთ, რომ წერილში მოხსენიებულ ყველა პირს მივცემთ საშუალებას საწინააღმდეგო მოსაზრება დააფიქსიროს.

ქართველი დედის საუბარი აკვანში მწოლ შვილთან

„უღმერთობის ხანაში ხელისუფლებამ რაჭაში მცხოვრებ ებრაელებს აუკრძალა ონის სინაგოგაში ლოცვა. პროტესტის ნიშნად ებრაელმა დედებმა აკვნები მიიტანეს სინაგოგასთან და დადგეს. მეორე დღეს მისულ ჩეკისტებს ებევრათ აკვნების რიცხვი. „კი, მაგრამ, თქვენ ამდენი არ ცხოვრობთ და საიდან ამდენი აკვანიო." ებრაელმა ქალმა უპასუხა: ეს ქართველი დედები დადგნენ ჩვენს გვერდით და თავიანთი შვილების აკვნები შემატეს ჩვენი შვილების აკვნებს"...

ჩემშია მადლი და მის კვალს ვეძებ,
ვეძებ და ფიქრი მემღვრევა ხშირად,
დღეს სინაგოგის მზისსადარ სვეტზე,
ბიბლიურ სულის ჭრილობებს სძინავთ.
ცივა და მალე აქ უხვად მოთოვს,
ცნონ თვალთა შენთა, რაც ხდება დღესა,
სალოცავს მისთვის ადებენ ბოქლომს,
დედამიწა რომ დაშორდეს ზეცას.
დგას აშარი დრო, ურჯულკი ერა,
თელავენ მრევლს და თელავენ სამწყსოს,
ართმევენ მოსეს რჯულსა და რწმენას,
ართმევენ ერთად მაცას და აწმყოს.
შლიან ლიბოს და ანგრევენ ფუძეს,
წვავენ ვარდსა და ალისფერ ტიტას,
ვივახ! რა მწარე განსაცდელს ვუძლებთ
და რა საზარელ სადარდოს ვიტანთ.
ვერ გრძნობენ ფეხქვეშ რომ ეწვით მიწა,
შეეძლოთ შავად მორთავდნენ ცარგვალს,
დღეს უფლის სახლში ლოცვა თუ მიწყდა
მაშინ სიცოცხლე სიცოცხლეს არ ჰგავს.
თავს ვეღარ ვაღწევ ზმანებას, ბოდვას,
ის, რაც დღეს ხდება, ვიცოდეთ მაინც,
აღემატება ყოველგვარ ცოდვას,
ცოდვათა შორის ყოფილა რაიც.
უმძიმს მოყვასს და უმძიმს ჩვენს ძმას და,
ართმევენ უფლის სიტყვას და ბნელა,
ის ჩვენგან ელის ბალღო, დღეს ხსნას და,
ის ჩვენგან ელის მარტოდენ შველას.
ჩემს ყოველ სიტყვას სინანულს ვატან,
ვხსნი ჩემში რკინის გაუხსნელ საკეტს
და ებრაელი ჩვილ ბავშვის აკვანს,
ქართველი ბავშვის აკვანს მეც ვმატებ.
ჩემშია მადლი და მის კვალს ვეძებ,
ვეძებ და ფიქრი მემღვრევა ხშირად,
დღეს სინაგოგის მზისსადარ სვეტზე,
ბიბლიურ სულის ჭრილობებს სძინავთ.

ერეკლე საღლიანი

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანacea)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 551 50 89 07

ჭრელი გვერდი



ჯეიმს კუკის სასარგებლო დიეტა

წარსულში ყველა მოგზაურისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო საკვები პროდუქტები. ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობისას, როდესაც მწველი მზე დააჭერდა, ყველა პროდუქტი ფუჭდებოდა და ადამიანები იძულებული იყვნენ, მრავალი თვის განმავლობაში მხოლოდ ორცხობილა და დამარილებული პროდუქტები ეჭამათ. ერთგვაროვანი და არასრულფასოვანი კვების გამო მეზღვაურები ცინგისგან და სხვა დაავადებისგან იღუპებოდნენ. საზღვაო ექსპედიციის საკვები პროდუქტებით მომარაგებაში ნოვატორი გახდა ცნობილი კაპიტანი ჯეიმს კუკი. მან პირველმა წაიღო მოგზაურობაში გამომშრალი ხილი და ბოსტნეული. მრავალფეროვანი საკვების წყალობით მისი ეკიპაჟის წევრები არასოდეს ავადდებოდნენ, რისი წყალობითაც ბევრი გეოგრაფიული აღმოჩენა გააკეთეს.

მანცინელა – ყველაზე შხამიანი ხე

მანცინელა ცენტრალურ ამერიკაში, კარიბის ზღვის კუნძულებზე იზრდება. მისი ყველა ნაწილი შხამიანია, ზოგიერთი კი სიკვდილსაც იწვევს. მანცინელას ხის ქერქი გაჟღენთილია სითხით, რომელიც დამწვრობას იწვევს, ხოლო თუ თვალში მოხვდა, აბრმავებს. ამ ხის ნაყოფს „სიკვდილის ვაშლს" უწოდებენ, თუმცა საკმაოდ ტკბილი გემო აქვს. ხილის ჭამის შემდეგ პირში ჩნდება წყულები, ხოლო წვენის გადაყლაპვის შემთხვევაში ძლიერი მოწამვლის გამო ადამიანს სიკვდილი ელის. ჯანმრთელობის დაზიანების გარეშე ამ ხის დაწვაც შეუძლებელია – მერქნის წვისგან წარმოქმნილი ბოლი აზიანებს ლორწოვან გარსს, წვავს თვალებს და აზიანებს ფილტვებს.

მილიონები პაპიროსის ნამწვისთვის

ერთი შეხედვით, ამ ფოტოდან სიღარიბე გამოსჭვივის – თლილი ჭიქა არყით, თევზის ნარჩენები, პაპიროსისი ნამწვი, ერბოკვერცხი, რომელსაც ბუზი მიწეპებია, მაგრამ, სინამდვილეში, ეს მხატვრული კომპოზიციაა, ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში, რომლის ფასიც რამდენიმე მილიონი დოლარია. „პროლეტარის საუზმე" კარლ ფაბერჟეს სახელოსნოში შეიქმნა 1905 წელს. არყიანი ჭიქა ბროლისგან არის დამზადებული, აგური – იასპისგან, კვერცხის გული – ქარვისგან, პაპიროსის ნამწვი კი კვარცისა და ვერცხლისგან; კვერცხის ცილა მინანქრით არის დაფარული, ვერცხლისგანვეა დამზადებული ბუზები, თევზის ნარჩენები და გაზეთის ნაგლეჯი.

„ტუბანტიის" ტრიუმში დამალული „ოქროს" ყველი

1916 წლის 6–7 მარტის ღამეს ჰოლანდიურმა ხომალდმა „ტუბანტიამ" ამსტერდამი დატოვა და ბუენოს-აირესისკენ აიღო გეზი. მალევე გემს გერმანული ტორპედო მოხვდა და ჩაიძირა. გემის 280 მგზავრი და ეკიპაჟის 80 წევრი სამაშველო ნავებში ჩასხდნენ და იქაურობა დატოვეს. მანამდე წინასწარ ჩატვირთეს მტკნარი წყალი, საკვები პროდუქტი და ძვირფასი ნივთები. ტვირთის გადარჩენაზე საუბარიც არ ყოფილა, რადგან, ის დაზღვეული იყო და თანაც იქ მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა – ტექსტილი, ჭურჭელი და... სამასი თავი ჰოლანდიური ყველი.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „ტუბანტიის" ტრიუმში ოქრო იყო, რის შესახებაც არც კაპიტანმა, არც ეკიპაჟის წევრებმა და არც მგზავრებმა არაფერი იცოდნენ. ოქროს ზოდები, რომლებიც ყველში იყო დამალული, კონტრაბანდული წესით გადაჰქონდათ. ტვირთის ღირებულება 200 მლნ გირვანქა სტერლინგი იყო. „ტუბანტიის" ჩაძირვის ადგილას რამდენიმე ექსპედიცია გაემგზავრა, თუმცა დღემდე უცნობია, იპოვეს თუ არა მათ კონტრაბანდული ოქრო.

მწერალმა უნდა წეროს!

ყველაზე ნაყოფიერ მწერლად ითვლება ბრაზილიელი ჟოზე კარლოს რიოკი დე ალპოიმ ინოუე, რომელიც უფრო რიოკი ინოუეს სახელით არის ცნობილი. მის კალამს ეკუთვნის 1046 ფანტასტიკური რომანი, ვესტერნი და ტრილერი, რომლებიც ათი წლის განმავლობაში – 1986–96 წლებში გამოქვეყნდა.

ატომური აფეთქების კვალი ლიბიის უდაბნოში

ლიბიის უდაბნო საჰარის უდაბნოს ნაწილია, რომელიც აფრიკის ცენტრალურ ნაწილში, ეგვიპტის მახლობლად მდებარეობს. ამ უდაბნოში მრავლად მოიპოვება უცნაური ნივთიერება, რომელსაც ლიბიურ შუშას უწოდებენ. საინტერესოა, რომ მის წარმოშობას ვერავინ ხსნის. ის უფრო მეტად ჰგავს ატომური აფეთქების შედეგად გამდნარ ქვიშას. ამ შუშის ასაკი 100 ათას წელზე მეტია. საინტერესოა, რომ ეგვიპტური ლეგენდების თანახმად, ერთხელ ღმერთმა რამ დედამიწაზე მის წინააღმდეგ აჯანყებული ადამიანების დასასჯელად მზე-თვალი



გამოგზავნა, რომლისგან წამოსულმა სასიკვდილო სხივებმაც ქვიშა შუშად გადააქცია.

შტატის ყველაზე პატარა დედაქალაქი

ქალაქ მონტპლიერში, ვერმონტის შტატის დედაქალაქში სულ 9 ათასი მცხოვრებია. გარდა იმისა, რომ ეს შტატის ყველაზე პატარა დედაქალაქია, მონტპლიერი კიდევ იმითაც არის განთქმული, რომ აქ მაკდონალდსის სწრაფი კვების არც ერთი წერტილი არ არსებობს.

აირჩიე გვარი!

დიდი ხნის განმავლობაში თურქებს მხოლოდ სახელები ჰქონდათ, რაც დიდ გაუგებრობებს იწვევდა. გვარები მხოლოდ 1935 წლის შემდეგ გაჩნდა ხელისუფლების სპეციალური ბრძანებულების შემდეგ. ყველა თურქს შეეძლო ნებისმიერი სიტყვა აერჩია გვარად, ოღონდ სიტყვა აუცილებლად თურქული უნდა ყოფილიყო და არა უცხოენოვანი.

რას გვიქადის სიზმარი

ხშირად ადამიანები სიზმარში საკუთარ სიკვდილს ხედავენ. ისტორიულ არქივებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ თეატრში მის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკის პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა სიზმრად საკუთარი სიკვდილი ნახა: „საწოლში ჩაწოლა ძლივს მოვასწარი, მაშინვე დამეძინა. დამესიზმრა, რომ ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო. უცებ ტირილი და ოხვრა მომესმა... მე ავდექი და მეორე ოთახში გავედი. იქ არავინ იყო. გავიარე ოთახების ანფილადა. კვლავ ვერავინ დავინახე. მხოლოდ ბოლო ოთახში ვიხილე შემაძრწუნებელი სანახაობა: კატაფალკი, რომელზეც მიცვალებული იწვა და გადასაფარებელი ჰქონდა გადაფარებული. ირგვლივ დაცვის წევრები და სხვა ადამიანები ირეოდნენ. „ვინ გარდაიცვალა თეთრ სახლში?" – ვკითხე ჯარისკაცს. „პრეზიდენტი, – მიპასუხა მან, – იგი მკვლელის ხელით მოკვდა!"

ფხიზლად, დელფინებო!

ძალიან უცნაურად სძინავთ დელფინებს – ისინი ძილის დროს ტვინის ერთ ნახევარს თიშავენ და ერთ თვალს ხუჭავენ. ამ დროს ტვინის ერთი ნახევარსფერო ფხიზლობს და ბრძანებას იძლევა, რათა დროულად ამოვიდეს წყლის ზედაპირზე ჰაერის ჩასასუნთქად, ხოლო გახელილ თვალს – არ გამოეპაროს თავდამხსმელები. ამ სისტემას „ლოგინგი" ეწოდება.

გალაქტიკათაშორისი კანიბალიზმი

გალაქტიკები ერთმანეთს შთანთქავენ. მაგალითად, ანდრომედას ნისლეული ამჟამად თავისზე სუსტ მეზობელს „ჭამს". სამი მილიარდი წლის შემდეგ ის ირმის ნახტომს, ანუ ჩვენს გალაქტიკას შეებმება. სხვათა შორის, მეცნიერების აზრით, ანდრომედას ნისლეული და ირმის ნახტომი იდენტური გალაქტიკებია და ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ანდრომედას ნისლეულშიც არსებობდნენ გონიერი არსებები.

რა არის ლანგეპასი?

ასოები „ლ", „უ" და „კ", რომლებიც კომპანია „ლუკოილის" დასახელების საწყისი ასოებია, იმ ქალაქების აბრევიატურებია (ლანგეპასი, ურაი, კოჰალიმი), რომლებიც ხანტო-მანიის ოლქში მდებარეობს და ნავთობის მდიდარი საბადოებით არის ცნობილი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
ნომრის რედაქტორი: ირანდა კალანდაძე

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983